2011 წელი, 3 - 9 ნოემბერი

ფასი 1 ლარი



# ახალი განათლება

№33 (547) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

## არ გათეთრდება ყორანი

ტფილისი, 19 იანვარი

არის ქვეყანაზედ ბევრი იმისთანა საგანი, რომლის გამოც ჰოც ითქმის და არაცა, რადგანაც საგანი ან გამოძიებული არ არის ჯერ მთლად ან მეტად რთულია და დახლართული და ჯერ კაცის თვალი ვერ მიმწვდარა მრავალგვარის ხლართის ერთ კრებულად დანახვისათვის. აქ ამისთანა საგანზედ ბევრი საბუთი აქვს კაცს გააბას საუბარი, თავისიც სთქვას და სხვასაც მისი ათქმევინოს. ხოლო ქვეყნიერობაზედ ბევრი იმისთანა საგნებიც არის, რომელთ ვითარებაც ცხადია, როგორც ორჯელ ორი – ოთხი. აქ საუბარის გაბმა და ერთმანეთთან ლაპარაკი, საგნის ვითარების გადატრიალ-გადმოტრიალება, წაღმა-უკუღმად თრევა და წეწვა, მეტი ბარგია. ამისთანაებზე ლაპარაკი სულგრძელობაა იმის მხრით, ვინც იძულებულია ეჩიჩინოს მეორეს, რომ ორჯელ ორი ოთხიაო, და იმის მხრით კი, ვინც ამ ჩიჩინისათვის ვისმე იძულებულჰყოფს, მეტისმეტი სიბრიყვეა და გონების დახშულობა.

მაგრამ რას იზამ, რომ დღე არ გავა, იმისთანა კაცს არ შეხვდე, რომელსაც ბევრი კვერიც რომ ურახუნო თავში, ვერ გააგონებ, ვერ დაანახვებ ორჯელ ორის ოთხობას, შესდგება გაქირ სახედარსავით ერთს უარზედ და, რაც გინდ ბევრი ნიშადური მოსცხო, წინ ბიჯსაც ვერ გადაადგმევინებ, არას ჰოზედ ვერ შეაცვლევინებ. ზოგს ეს გაქირი დაბადებითვე აქვს თითქო დაყოლილი და ზნედ გადაჰქცევია, ზოგმა კი გაქირი განგებ იცის, იმიტომ რომ სარფაა, გაქირს გამორჩომაც მოსდევს, და სარფა და გამორჩომა ხომ დღევანდელის დღის მაცხოვრებელი სულია. ამ უკანასკნელის ჯურის გაქირები მეტისმეტად გამრავლდნენ და ფეხს ისე არ გადასდგამს კაცი ჩვენში, რომ მთელს ამისთანა ჯგუფს არ წამოჰკრას.



ილია სოხუმში

## ყურადღება!

„ახალი განათლების“ რედაქცია, სკოლების მოთხოვნის საფუძველზე,
სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის შესავსებად და საგნობრივი კაბინეტების
თვალსაჩინოებებით აღჭურვისთვის,

### სპეციალურ ფასად გთავაზობთ:

თემატურ პლაკატებს დაწყებითი და მაღალი კლასებისათვის,
ქართველი მწერლების პორტრეტებს, ცნობილი მხატვრების ნამუშევრების
რეპროდუქციებს, ასევე, მხატვრულ ლიტერატურას – ქართულსა და უცხოურს,
ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებს

ჩამონათვალი იხილეთ – გვ. 3, გვ.12

ვაჟა-ფშაველა – 150

## ბედნიერებაა, როცა ქვეყანას ვაჟა-ფშაველა ჰყავს

გვერდი 4

სოფლის სკოლა

## თანაბარი აქცენტი სწავლასა და სამოქალაქო აღზრდაზე

გვერდი 5

ფიზიკის პედაგოგთა დასახმარებლად

## დინამიკა ნიუტონის კანონები

გვერდი 7

გამოცდების ეროვნული ცენტრი

## სასერტიფიკაციო გამოცდები

გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების პირველივე წელს გამოსცა ბროშურა „როგორ მოვემზადოთ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის – პროფესიული უნარები“ (2008), რომელსაც დანართის სახით ახლდა საკითხავი მასალა განვითარებისა და სწავლის თეორიების შესახებ. ეს იყო მოკლე ინფორმაცია იმ ავტორების შესახებ, რომელთა ნააზრევის ცოდნაც განსაზღვრულია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით.

გამოცდილებამ ცხადყო, რომ საგამოცდო ტესტებში შემავალ ბევრ საკითხს მასწავლებლები საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის საფუძველზე სცემენ პასუხს. რაც შეეხება განვითარებისა და სწავლის თეორიებს, ამ ამოუწურავი მასალის დამუშავება მათგან ძალიან დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს. იმისათვის, რომ მასწავლებლებისათვის შეგვემსუბუქებინა გამოცდისათვის მომზადების პროცესი და თან ხელი შეგვეწყო თეორიების გააზრებაში, შევეცადეთ შედარებით მოკლედ და გასაგებად ჩამოგვეყალიბებინა ამ თეორიების ძირითადი და არსებითი საკითხები. ჩვენი აზრით, ეს დაეხმარება მათ არა მარტო გამოცდისათვის მომზადებაში, არამედ პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებაში.

გისურვებთ წარმატებებს!

*გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის დეპარტამენტი*

გვერდი 2

CMYK

სასერტიფიკაციო გამოცდები

# განვითარებისა და სწავლის თეორიები

## მოკლე ინფორმაცია იმ ავტორების შესახებ, რომელთა ნააზრევის ცოდნაც მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით არის განსაზღვრული



### ჟან პიაჟე

(1896-1980)

შვეიცარიელი ფსიქოლოგი, ინტელექტის განვითარების თეორიის ავტორი. 1929 წლიდან იყო ჟენევის უნივერსიტეტში პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ლაბორატორიის დირექტორი. პიაჟემ შექმნა ბავშვის აზროვნების განვითარების ექსპერიმენტული კვლევის სკოლა. მან რამდენიმე წელი იმუშავა ცნობილი ფსიქოლოგის, ალფრედ ბინეს, ლაბორატორიაში. სწორედ ამ ლაბორატორიაში მუშაობის დროს პიაჟე პირველად დაინტერესდა ადამიანის ინტელექტის და მისი განვითარების საკითხების შესწავლით. ბინეს ლაბორატორიის მუშაობის ძირითადი მიმართულება იყო სტანდარტული ტესტების შემუშავება, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი იქნებოდა ინტელექტის განვითარების დონის დადგენა. ამ საკითხებზე მუშაობის პროცესში ჩაეყარა საფუძველი პიაჟეს თეორიას. კვლევებმა აჩვენა, რომ ერთი ასაკის ბავშვები ტესტებზე მუშაობის დროს ხშირად უშვებდნენ ერთსა და იმავე ტიპის შეცდომებს და ამ შეცდომის არსით ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ სხვა ასაკის ბავშვებისაგან. ამ დაკვირვებამ უბიძგა პიაჟეს იმ ფაქტორების კვლევისაკენ, რომლებსაც გავლენა აქვთ აზროვნების პროცესზე. მისი კვლევის შედეგები ასახულია „კოგნიტური განვითარების თეორიაში“, რომელიც თავის დროზე ექსპერტების მიერ შეფასებული იყო უნიკალურ და რევოლუციურ ნაბიჯად ფსიქოლოგიის განვითარებაში.

პიაჟეს თეორიაში ძირითადი ადგილი უკავია ე.წ. კოგნიტური სქემების ცნებას. კოგნიტური სქემა წარმოადგენს ერთგვარ ჩარჩოს, რომელშიც მოცემულია ამა თუ იმ ქცევის განხორციელების მონახაზი, შესაძლებლობა. ასე, მაგალითად, ახალშობილ ბავშვს განვითარებული აქვს ტაცების, წოვის ინსტინქტი (რეფლექსური ქცევები). ამ ქცევების განხორციელების შესაძლებლობას პიაჟე უწოდებს სქემას. პიაჟეს თეორიის თანახმად, ადამიანს დაბადებიდან აქვს მოცემული მარტივი სქემები, რომელთა საშუალებითაც მას ეძლევა შესაძლებლობა, განახორციელოს მარტივი ქმედებები, ქცევები. ასაკთან ერთად კი სქემები რთულდება, როგორც სტრუქტურულად (მყარდება ახალი კავშირები, იქმნება ახალი, რთული სქემები) ისე შინაარსობრივად (ყალიბდება რთული ქცევების განხორციელების შესაძლებლობა). პიაჟე ყოველთვის ხაზს უსვამდა ბიოლოგიური განვითარების მნიშვნელობას კოგნიტური სქემების განვითარებაში. იგი შეუძლებლად მიიჩნევდა კოგნიტური სქემების განვითარებას შესაბამისი ბიოლოგიური აპარატის (ტვინი, სმენა, მხედველობა და ა.შ.) განვითარების გარეშე. თუმცა, მისი აზრით, კოგნიტური სქემების განვითარებისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ ფიზიკური/ბიოლოგიური მოწიფულობა/განვითარება. ამ პროცესის ასახსნელად მას შემოაქვს ორი მნიშვნელოვანი ცნება – ასიმილაცია და აკომოდაცია.

ასიმილაცია გულისხმობს ადამიანის გამოცდილებაში უკვე არსებული ინფორმაციის (სქემის) ფარგლებში გარემოსთან ურთიერთობის პროცესს. ადამიანს დაბადებიდან აქვს გარკვეული სქემები, რომლებიც შესაძლებელს ხდიან მის ინტერაქციას (ურთიერთქმედებას) გარემოსთან. გარემოსთან ურთიერთქმედების დროს ადამიანი ადარებს გარემოდან მიღებულ ინფორმაციას მის გამოცდილებაში არსებულ სქემებს და ახდენს ამ ახალი ინფორმაციის ასიმილაციას (ათვისებას) ამ სქემების ფარგლებში, რაც, თავის მხრივ, აძლევს მას შესაძლებლობას განახორციელოს საპასუხო ქმედება ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში. ასიმილაცია არის ერთგვარი პრიზმა, ფილტრი, რომელიც ყალიბდება არსებული გამოცდილების საფუძველზე და რომელშიც ტარდება ყველაფერი ის, რაც ხვდება ადამიანის ყურადღების ცენტრში. ბუნებრივია, რაკი ასიმილაციის პროცესი მთლიანად ეფუძნება ადამიანის გამოცდილებას და ამ გამოცდილების საფუძველზე უკვე ჩამოყალიბებულ სქემებს, მხოლოდ ამ პროცესით ძნელი, ხშირ შემთხვევაში კი სრულიად შეუძლებელი იქნებოდა ისეთი ინფორმაციის მიღება და გაგება, რომელიც ვერ ექცევა უკვე არსებული გამოცდილების ფარგლებში, ანუ სრულიად ახალია თავისი შინაარსითა და ფორმით. სწორედ ასეთ შემთხვევაში ერთვება აკომოდაციის პროცესი, რომელიც იძლევა არსებული გამოცდილების/სქემების გართულების, მათი მოდიფიცირების, გამდიდრების შესაძლებლობას ახალი ინფორმაციით. პიაჟეს აზრით, სწორედ აკომოდაციის პროცესი არის გადამწყვეტი კომპონენტი ინტელექტუალური განვითარებისთვის, განსაკუთრებით კი ბავშვებში, როდესაც გარემოში ბევრი სიახლეა, რომლებიც არ შეესაბამება უკვე არსებულ კოგნიტურ სქემებს.

ორივე პროცესი აუცილებელია განვითარებისთვის, თუმცა სხვადასხვა ასაკში ასიმილაციასა და აკომოდაციას განსხვავებული როლი და მნიშვნელობა ენიჭება. ეს პროცესები უფრო ურთიერთშემავსებელია, ვიდრე ურთიერთგამომრიცხავი. ახალ გარემო პირობებთან შეხების დროს ადეკვატური რეაგირებისათვის ირთვება ორივე პროცესი. ასიმილაციის საშუალებით ხდება იმ ინფორმაციის „გათავისება“, არსებულ სქემებსა და გამოცდილებაზე მორგება. აკომოდაციის პროცესის შედეგად კი ხდება არსებული სქემების გამდიდრება, გამრავალფეროვნება და გართულება, რაც შესაძლებლობას აძლევს ადამიანს ადეკვატური რეაგირება მოახდინოს არა მხოლოდ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მასზე მოქმედ სტიმულზე, არამედ მსგავს სიტუაციათა მთელ სპექტრზე. პიაჟეს თეორიის მიხედვით, დასწავლა ამ ორი პროცესის საფუძველზე მიმდინარეობს.

განვითარების მამოძრავებელ ძალად (სტიმულად) პიაჟე ორგანიზმის წონასწორობისაკენ (ადაპტაციისაკენ) სწრაფვას მიიჩნევს. მისი აზრით, ადამიანს თანდაყოლილად მოჰყვება გარემოსთან კომფორტული, ჰარმონიული ურთიერთმიმართების ჩამოყალიბების სურვილი, სწრაფვა, რომლის მიღწევასაც იგი გარემოსადმი ადაპტაციის გზით (ასიმილაციის და აკომოდაციის პროცესებით) ახერხებს.

ადაპტაციისაკენ სწრაფვა, თავის მხრივ, ხელს უწყობს ინტერიორიზაციის (გათავისების) პროცესს. ეს ტერმინი გულისხმობს ადაპტაციის პროცესში გამდიდრებული და გამრავალფეროვნებული კოგნიტური სქემების საფუძველზე უშუალოდ მოქმედი გარემო ფაქტორებისადმი დამოკიდებულების ხარისხის შემცირებას. კერძოდ კი, თუ ადრეულ ასაკში ბავშვის სქემები (შესაბამისად ქცევებიც) ძალიან კონკრეტულია და მიბმულია კონკრეტულ გარემო ფაქტორებთან (ამ ფაქტორების ზემოქმედებასთან), ასაკთან ერთად გარემო ფაქტორებზე დამოკიდებულება მცირდება გამოცდილებაში არსებული კოგნიტური სქემების საშუალებით. ინტერიორიზაციის განვითარების პროცესში ბავშვის ქმედებებიც სულ უფრო და უფრო დამოუკიდებელი ხდება გარემო ფაქტორებისაგან და ხშირად უფრო შინაგან სახეს იძენს, ვიდრე გარე გამოხატული რეაქციების ფორმას. ასეთ შინაგან რეაქციებს პიაჟემ ოპერაციები უწოდა, რომლებიც თავისი არსით აზროვნების პროცესს შეესაბამება. თავის თეორიაში პიაჟე მიუთითებს ოპერაციების ე.წ. „შექცევადობის“ თვისებაზე. ქვემოთ მოყვანილია ოპერაციის შექცევადობის ნიმუში, რომელიც უფრო ნათელს გახდის ამ ცნებას.

**მარტივი ოპერაციის ნიმუში: 5+3=8**
**ოპერაციის შექცევადობის ნიმუში: 8-5=3 ან 8-3=5**

პიაჟეს თეორიაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კოგნიტური განვითარების ეტაპების იდეას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ბინეს ლაბორატორიაში მუშაობის დროს პიაჟემ აღმოაჩინა, რომ ინტელექტის ტესტებზე მუშაობის პროცესში, ერთი და იმავე ასაკის ბავშვები ხშირად ერთსა და იმავე ან ძალიან მსგავს შეცდომებს უშვებენ, რომლებიც თავისი შინაარსითა და ფორმით სრულიად განსხვავდებიან სხვა ასაკის ბავშვების შეცდომებისაგან. სწორედ ეს დაკვირვება დაედო საფუძვლად მის თეორიას, რომლის თანახმადაც ყველა ადამიანი განვითარების პროცესში გადის კოგნიტური განვითარების ერთსა და იმავე საფეხურებს, მაგრამ ამ საფეხურების გავლის ტემპი და ფორმა ინდივიდუალურად განსხვავებულია.

პიაჟე გამოყოფს განვითარების ოთხ საფეხურს:

**1. სენსო-მოტორული სტადია** (დაბადებიდან 2 წლამდე), როცა ბავშვი გარემოსთან ურთიერთობას იწყებს თანდაყოლილი რეფლექსების მეშვეობით. შემდგომში ბავშვი უკვე შეძენილი გამოცდილებით, საკუთარი შეგრძნებებისა და მოტორული მოქმედებების საფუძველზე ცდილობს გარემოსთან ასიმილაციას და ასევე გარემოს მოთხოვნების მიხედვით ახდენს თავისი შეგრძნებების, აღქმის და მოტორული ქმედებების კოორდინირებასა და აკომოდაციას. ამ სტადიაზე ბავშვის მიერ გარემოს შემეცნებაში წამყვანია არა მეტყველება, არამედ მისი სენსორული და მოტორული გამოცდილება. მაგ., ბავშვისთვის ამ საფეხურზე ბურთი არის ის, რაც მრგვალია, მოძრავი, მოხტუნავე, რომელსაც შეიძლება ხელი ან ფეხი დაარტყა და შეუცვალო მდებარეობა. მას აქვს სპეციფიკური ფაქტურა, განსხვავებული სირბილე და სხვადასხვა ფერისაა. ბავშვი აქტიურად ითვისებს გარემოს და შეიმეცნებს ობიექტებს თავისი შეგრძნებების, მოძრაობებისა და აღქმის კოორდინირების საფუძველზე. ყოველივე ეს კი მის მეხსიერებაში ინახება „სქემის“ სახით. შემდგომში ბავშვს აღარ სჭირდება, ბურთს მოჰკიდოს ხელი იმისათვის, რომ გაიგოს მისი თვისებები. ერთი შეხედვითაც კი მან უკვე იცის, რომ ბურთი მრგვალია, გლუვი და დახტის. ეს მის მეხსიერებაში შენახული „სქემის“ შედეგია, რომელშიც წარმოდგენილია ობიექტის თვისებები, მასთან დაკავშირებული მანიპულაციები.

**2. ოპერაციამდელი სტადია** (2-დან 7 წლამდე). ამ სტადიაზე უკვე ყალიბდება მეტყველება. ბავშვი თავის გარშემო სამყაროს მხოლოდ სენსორული და მოტორული მოქმედებებით კი არ შეიმეცნებს, არამედ სიტყვის საშუალებითაც. ამ ეტაპიდან ვითარდება სიმბოლური ფუნქცია: სიტყვა თავისთავად მოქმედება ან ობიექტი არ არის, ის მისი აღმნიშვნელია.

ეს სტადია მოიცავს ორ პერიოდს: პირველი პერიოდი გრძელდება 2-დან 4 წლამდე, როდესაც ბავშვს შეუძლია საგნების დაჯგუფება მათი რაიმე ნიშნით. ამავე დროს ეს მოქმედებები ჯერ კიდევ შეუქცევადია და ოპერაციისგან შორსაა. მაგ., ბავშვს შეუძლია სიდიდის და ფერის მიხედვით დააჯგუფოს ობიექტები, მაგრამ მხოლოდ ერთი ნიშნით – ან სიდიდის, ან ფერის მიხედვით. მაგალითისთვის, ამ ასაკის ბავშვის ლოგიკა ასეთია: „ძროხა არის დიდი ოთხფეხა ცხოველი, რომელსაც აქვს რქები. თუ ცხოველი დიდია, ოთხი ფეხი აქვს და რქები, ე. ი. ის ძროხაა.“

მეორე პერიოდი 4-დან 7 წლამდე გრძელდება და მისთვის დამახასიათებელია თვალსაჩინო-ხატოვანი აზროვნება. ბავშვისათვის ობიექტების დაჯგუფება შესაძლებელია უკვე რამდენიმე თვალსაჩინო ნიშნის მიხედვით; სინამდვილის განზოგადებაც თვალსაჩინო ხატებს ეყრდნობა და გარეგან, საგნობრივ მოქმედებებზეა დამოკიდებული. ლოგიკის წესები აქ ჯერ კიდევ არ მოქმედებს.

მომდევნო სტადიისგან განსხვავებით, ამ ასაკის ბავშვის აზროვნებას ჯერ კიდევ არა აქვს „რაოდენობის შენახვის“ უნარი. მაგ., თუ ბავშვის თვალწინ წყალს განიერიდან უფრო ვიწრო ჭურჭელში გადავასხამთ, ის აუცილებლად იტყვის, რომ ვიწრო ჭურჭელში უფრო მეტი წყალი ასხია, იმიტომ, რომ განიერთან შედარებით წყლის დონე იქ უფრო მაღალია. თუმცა ეს ყველაფერი მის თვალწინ ხდებოდა და მან იცის, რომ წყლის რაოდენობა არ შეცვლილა. ამ შემთხვევაში მის დასკვნას თვალსაჩინო ხატი განსაზღვრავს.

აღნიშნულ სტადიას იმიტომაც ჰქვია ოპერაციამდელი სტადია, რომ ბავშვის საგნობრივ მოქმედებებს, თუნდაც სააზროვნო მოქმედებებს პრობლემურ სიტუაციაში ჯერ კიდევ არა აქვს ნამდვილი ოპერაციის ხასიათი. ის შეუქცევადია და იზოლირებული.

**3. კონკრეტული ოპერაციების სტადია** (7-დან 11-12 წლამდე); ამ სტადიაზე ბავშვი ნამდვილ ოპერაციებს იყენებს სიტუაციური ამოცანის გადაწყვეტისას. მის აზროვნებაში უკვე ფორმირებულია როგორც შენახვის, ასევე სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირების უნარები. მას ასევე შეუძლია რიცხვებით ოპერირება და საგანთა დალაგება ზრდადობის ან კლებადობის მიხედვით, ასევე მოვლენების განსხვავებული პრინციპით დაჯგუფება, თუმცა ამ ასაკის ბავშვის აზროვნებისთვის ჯერ კიდევ შეუძლებელია აბსტრაქტული ამოცანების გადაჭრა. ოპერაციები ამ ეტაპზე უფრო კონკრეტული ხასიათისაა და უფრო თვალსაჩინო-მოქმედებითი საფუძველი აქვს. ამ ეტაპზე ბავშვები ადვილადართმევენ თავს ქვემოთ მოყვანილ ამოცანას.

პირობა: „ყურადღებით გაეცანით წარმოდგენილ ცხრილს, ეცადეთ ამოიცნოთ რა პრინციპით არის განლაგებული მასში რიცხვები და ანბანის ასოები და შეავსეთ ცარიელი უჯრები“.

| ა | ე | თ | მ |
|---|---|---|---|
| 1 | 5 | | |

კონკრეტული ოპერაციების სტადიაზე ბავშვებს, როგორც წესი, არ უჭირთ მოცემული (ანუ მათ თვალწინ, თვალსაჩინოდ არსებული) ინფორმაციის გაანალიზება და კანონზომიერების ამოკითხვა. შესაბამისად, ამ სტადიაზე ბავშვების უმეტესობა უნდა მიხვდეს, რომ ცხრილის ქვედა რიგში მოცემული რომაული რიცხვები ასახავს ზედა რიგში მოცემულ ასოთა რიგითობას ანბანში, რაც შესაძლებლობას მისცემს მარტივად შეავსონ დარჩენილი ორი ცარიელი უჯრა.

**4. ფორმალური ოპერაციების სტადია** (11-12-დან 14-15 წლამდე), როცა ბავშვებს შეუძლიათ, გაიაზრონ და გადაჭრან ჰიპოთეტური პრობლემები და მათი სააზროვნო პროცესები უკვე აღარ არის მიჯაჭვული თვალსაჩინო მასალაზე. მაგ., ასეთი ლოგიკური ამოცანის გადაჭრა: – „ნინოს უფრო ღია ფერის თმა აქვს, ვიდრე მარის, ნინოს უფრო მუქი ფერის თმა აქვს, ვიდრე ეკას. ამ სამი გოგონადან რომელს აქვს უფრო მუქი ფერის თმა?“ – ამ ასაკის ბავშვისთვის უკვე აღარ წარმოადგენს სირთულეს. ბავშვისათვის ამ სტადიაზე უკვე დაძლევადია ფორმალური ლოგიკური ოპერაციები, რაც აღარ მოითხოვს თვალსაჩინო საყრდენს.

ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე საუბრის დროს პიაჟე ხაზს უსვამს სოციალური ფაქტორების როლსაც. სოციალური გარემო ინდივიდზე ზეგავლენას ახდენს მისი განვითარების დონის შესაბამისად; აქედან გამომდინარე, ეს ზემოქმედება შეიძლება იყოს სრულიად განსხვავებული. შესაბამისად, სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე ასიმილაცია-აკომოდაციის პროცესები განსხვავებული სირთულის შეიძლება აღმოჩნდეს.

პიაჟე მიიჩნევს, რომ აუცილებელია მოსწავლის ასაკის შესაბამისი (შემეცნებითი) სტრუქტურის დონის დადგენა, ანუ იმ შემეცნებითი პროცესების დონის განსაზღვრა, რომლებიც გამოიყენება გარემოდან შემოსული ინფორმაციის ასიმილაციისა და საკუთარი გამოცდილების აკომოდაციისათვის; საჭიროა ნაბიჯ-ნაბიჯ მის განვითარებაზე ზრუნვა.

იმისათვის, რომ მივაღწიოთ ოპტიმალურ დასწავლას, აუცილებელია, მიწოდებულმა ინფორმაციამ განიცადოს ასიმილაცია მოსწავლის კოგნიტურ სტრუქტურაში და, ამასთან, ის იმდენად უნდა განსხვავდებოდეს არსებული გამოცდილებისაგან, ინფორმაციისაგან, რომ გამოიწვიოს სისტემის რეორგანიზაცია. თუ ინფორმაცია ვერ განიცდის ასიმილაციას, ის გაუგებარი იქნება; თუ ის მთლიანად გასაგებია, მაშინ არანაირი დასწავლა აღარ არის საჭირო. თუკი არსებული ცოდნა ასიმილაციისთვის საკმარისი არ არის, ჩაერთვება აკომოდაცია, ანუ ახალი ცოდნის ათვისების პროცესი. პიაჟე თვლის, რომ გადასამუშავებელი ინფორმაცია ზომიერად ბიძგის მიმცემი უნდა იყოს, რათა სტიმული მისცეს გონებრივ განვითარებას.

ჟ. პიაჟე კონსტრუქტივისტი იყო[1]. თვლიდა, რომ სუბიექტი აქტიურად შეიმეცნებს გარემოს – ცვლის მას (ასიმილაცია) და საკუთარ გამოცდილებას (აკომოდაცია), ანუ სუბიექტი პასიურად კი არ ითვისებს ცოდნას, არამედ გარემოსთან აქტიური ურთიერთქმედების პროცესში აგებს მას.

*მომზადებულია გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის დეპარტამენტის მიერ*

*1. კონსტრუქტივიზმი – შემეცნების თეორია, რომლის მიხედვით, ინდივიდი თვითონ ახდენს ცოდნის „კონსტრუირებას“ გარემოსთან და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის საფუძველზე, რის შედეგადაც მისი გამოცდილებაც იცვლება. ამ თეორიის მიხედვით, სწავლა აქტიური პროცესია, ბავშვი თვითონ იძიებს პრობლემას, მასწავლებელი კი მოსწავლის დამხმარეა. გამოყოფენ კოგნიტურ კონსტრუქტივიზმს, რომლის წარმომადგენელი პიაჟეა და სოციალურ კონსტრუქტივიზმს, რომლის წარმომადგენელი ვიგოტსკია. პირველი ყურადღებას აქცევს იმას, თუ შემეცნების რა მექანიზმით, რა პროცესებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება და გამოცდილებასთან დაკავშირება, მეორე კი აქცენტს აკეთებს სწავლის სოციალურ ხასიათსა და მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობაზე ცოდნის აგებისას.*

# სიახლე!

## „ახალი განათლების" რედაქცია სასწავლო დაწესებულებებს სთავაზობს თემატურ პლაკატებს, რეპროდუქციებსა და ქართველ მწერალთა პორტრეტებს

### თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ქართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

### თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მზის სისტემა
11. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
12. საქართველოს სამეფო დინასტია
13. ძველი რომი
14. მსოფლიოს დროშები
15. ზღვის დინებები
16. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
17. სამყაროს წარმოშობა
18. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
19. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

### ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

**მწერალთა პორტრეტები** (34X47 სმ)

1. ექვთიმე თაყაიშვილი
2. მიხეილ ჯავახიშვილი
3. გიორგი ლეონიძე
4. ტერენტი გრანელი
5. ნიკო ლორთქიფანიძე
6. გრიგოლ რობაქიძე
7. ირაკლი აბაშიძე
8. ლადო ასათიანი
9. ნოდარ დუმბაძე
10. მირზა გელოვანი
11. აკაკი ბაქრაძე
12. ვასილ ბარნოვი
13. პაოლო იაშვილი
14. ტიციან ტაბიძე
15. სულხან-საბა ორბელიანი
16. ნიკოლოზ ბარათაშვილი
17. იოსებ გრიშაშვილი
18. პოლიკარპე კაკაბაძე
19. გურამ რჩეულიშვილი
20. იაკობ ხუცესი
21. იოანე საბანისძე
22. კონსტანტინე გამსახურდია
23. დავით გურამიშვილი
24. ბესიკი
25. მურმან ლებანიძე
26. რევაზ ინანიშვილი
27. ალექსანდრე ყაზბეგი
28. ალექსანდრე ჭავჭავაძე
29. იაკობ გოგებაშვილი
30. დავით კლდიაშვილი
31. აკაკი წერეთელი
32. რუსთაველი
33. ვაჟა-ფშაველა
34. თეიმურაზ I
35. ვახტანგ VI
36. გიორგი მერჩულე
37. ილია ჭავჭავაძე
38. გრიგოლ ორბელიანი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

### ხელოვნების კაბინეტისთვის

**რეპროდუქციები**

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. იმპრესიონისტების სურათები 10 დასახელება
3. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
4. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
5. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
6. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
7. მენინები - ველასკესი
8. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
9. მხატვრის ბაღი -კლოდ მონე
10. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
11. საქანელა - რენუარი
12. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

# ბედნიერებაა, როცა ქვეყანას ვაჟა-ფშაველა ჰყავს







*24-ე საჯარო სკოლაში ვაჟა-ფშაველას საიუბილეო წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა სახელწოდებით – „ვაჟა რეალურ სამყაროში". X-XI კლასების მოსწავლეები, ლიტერატურის ინსტიტუტის დახმარებით, გაეცნენ პოეტის პირად არქივს, ოჯახურ წერილებს. საშუალება მიეცათ, უფრო ახლოს გაცნობოდნენ პოეტის პიროვნებას. ღონისძიებაზე მოსწავლეებმა მათ მიერ დამუშავებული თემები წარმოადგინეს, იმსჯელეს ვაჟას პუბლიცისტურ წერილებზე, მკაფიოდ გამოხატეს თავიანთი აზრი და პოზიცია.*

**თამარ ბარისაშვილი,** 24-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: მოგეხსენებათ, წლევანდელი წელი ვაჟა-ფშაველას წლად არის გამოცხადებული. გადავწყვიტეთ, სასწავლო წლის პირველი ნახევარი დაგვეთმო პოეტის საქმიანობის, საზოგადო მოღვაწეობის, მისი, როგორც პუბლიცისტური წერილების ავტორისა და როგორც ქართული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების დიდაქტიკოსის მიმართ. დღევანდელი ღონისძიებისთვის მოსწავლეებმა ვაჟას პუბლიცისტური წერილები მოამზადეს. პროექტის ფარგლებში, ლიტერატურის ინსტიტუტში იმუშავეს, გაეცნენ ვაჟას წერილებს, ხელნაწერებს, დაათვალიერეს არქივი. მასალებზე მუშაობისას დამოუკიდებლად შეარჩიეს წერილები. ისინი მსჯელობდნენ, პარალელს ავლებდნენ დღევანდელობასთან – როგორც საზოგადო მოღვაწე, არის თუ არა ვაჟა-ფშაველა დღესაც საინტერესო; მის მიერ დასმული საკითხები არის თუ არა სადღეისოდ აქტუალური. თავდაპირველად, შემოქმედზე ფიქრი თენგიზ აბულაძის ფილმის „ვედრება"სკოლაში ჩვენებით დავიწყეთ. ამ ფილმზე ფიქრმა მიგვიყვანა საქართველოს თეატრის, კინოს, ქორეოგრაფიისა და მუსიკის მუზეუმში. აქ მოსწავლეები გაეცნენ ცნობილი ადამიანების თენგიზ აბულაძისადმი მიწერილ უამრავ წერილს, სადაც ისინი აღფრთოვანებას ვერ მალავენ ფილმის გამო. დღევანდელ ღონისძიებაზე VII-IX კლასების მოსწავლეებმა ასევე წარმოადგინეს ვაჟა-ფშაველას შემოქმედების თემატიკაზე შექმნილი ნახატები (ხატვის პედაგოგს – ნინო იოსავა). დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ლიტერატურის ინსტიტუტის ხელნაწერების განყოფილების ხელმძღვანელს – მარიამ ყიფიანს, ასევე საქართველოს თეატრის, კინოს, ქორეოგრაფიისა და მუსიკის მუზეუმს, დახმარებისა და თანადგომისათვის.

**ქეთევან ოდიშარია,** ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: პროგრამულად მეთერთმეტე კლასში ვსწავლობთ რომანტიკოსებს. როდესაც მოსწავლეებმა გაიგეს, რომ ვაჟა-ფშაველა უნდა გვესწავლა, ძალიან გაიხარეს. ისინი ჯერ ისე ღრმად არ იცნობენ პოეტს და აინტერესებთ მისი შემოქმედება. მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვნენ პროექტში, დამოუკიდებლად იმუშავეს, უამრავ შეკითხვას სვამდნენ, როგორც შემოქმედის, საზოგადო მოღვაწისა და პიროვნების შესახებ. ვაჟას საოჯახო არქივზე მუშაობამ საშუალება მისცა მათ, სულ სხვა კუთხით დაენახათ პოეტი. ისინი აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ, ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს. ახალგაზრდობას ვაჟა მართლაც განსაკუთრებულად უყვარს.

**თაკო ხუნდაძე,** XI კლასის მოსწავლე: გავეცანი და მოვამზადე ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილი – „ცოტა რამ ჩვენი ცხოვრების ავ-კარგისა". პირველ რიგში, რაც ძალიან მომეწონა, ის არის, რომ ვაჟა თამამად აკრიტიკებს იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობას, ნათლად წარმოაჩენს მაშინდელ პრობლემებს. ძალიან განმაცვიფრა იმ ფაქტმა, რომ მაშინაც და დღესაც ერთი და იმავე პრობლემის წინაშე დგას საზოგადოება. თუნდაც ის, რომ დღეს საქართველოში მშობლები კომერციული თვალით უყურებენ შვილის განათლებას და იმიტომ ასწავლიან, რომ შემდეგ, როგორც ვაჟა ამბობს – „ჩინოვნიკი" გამოვიდეს.

ვკითხულობდი წერილებს და განცვიფრებული ვიყავი მწერლის ჰუმანურობით. 1888 წლიდან ჩარგალში ცხოვრობდა, სხვა გლეხებივით ხნავდა მიწას, უვლიდა საქონელს და ნადირობდა. მთის ხალხში დიდი გავლენით სარგებლობდა. იშვიათად ჩამოდიოდა ბარად. ფშაური ზამთრის გრძელ ღამეებში დაიწერა მისი გენიალური პოემები, მოთხრობები და ლექსები. ვაჟასთვის სულერთია: ვინ თავადია, ვინ გლეხი, იგი პიროვნებას აყენებს წინ. ისიც ჩვენი შვილია, ჩვენი სხეულის ნაწილი. ეს წერილი ნიშანდობლივია თითოეული ჩვენგანისათვის. მაგალითის მომცემია პოეტის შეხედულებები, მისი მსოფლმხედველობა, მრწამსი. მწერალი ოპტიმისტია და ჩვენც მოგვიწოდებს მუდამ ვეძებოთ გზები უკეთესობისაკენ.

**ქეთი ბურჭულაძე,** X კლასის მოსწავლე: გავეცანი ვაჟა-ფშაველას რამდენიმე საოჯახო წერილს. განსაკუთრებით ჩამაფიქრა ლუკა რაზიკაშვილის მიერ ძმისადმი მიწერილმა წერილმა, სადაც იგი თედოს დედ-მამის გარდაცვალების ამბავს ატყობინებს და სთხოვს, დაბრუნდეს სოფელში, რათა მიხედოს ობლად დარჩენილ ძმას და ოჯახს. წერილმა ნათლად დამანახა ვაჟა-ფშაველას მტკიცე ხასიათი – მიუხედავად იმისა, რომ მათ დიდი უბედურება დაატყდათ თავს, დედ-მამა ერთდროულად დაეხოცათ, იგი მოუწოდებს ძმას, სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდეს, დედ-მამა უნდა დაიხოცოს და შვილები უნდა დარჩნენო. ვაჟა-ფშაველას სრულ შემოქმედებას, სკოლის პროგრამით, მომავალში ვეზიარები. ვფიქრობ, მისი პიროვნების გაცნობა მხოლოდ დასაწყისია შთაბეჭდილებების.

**თაკო საღრიშვილი,** X კლასის მოსწავლე: პროექტზე მუშაობის დროს საშუალება მომეცა, გავცნობოდი ვაჟა-ფშაველას ოჯახურ წერილებს, რომლებმაც ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს. სულ სხვა კუთხით დავინახე ეს ბუმბერაზი პოეტი. ვაჟას მიერ ძმებისადმი მიწერილი წერილები სავსეა მათდამი სიყვარულით, კეთილგანწყობით, მონატრებით, ერთად ყოფნის უსაზღვრო სურვილით. წერილებიდან ნათლად ჩანს, მიუხედავად დუხჭირი ცხოვრებისა, რაოდენ ხელგაშლილი და სტუმართმოყვარეა ვაჟა. სარჩოს გაყოფა და წინასწარ შეტყობინება იმისა, რომ თუკი მასთან სტუმრად ჩავლენ, ლუკმაპური არ დააკლდებათ, წარმოაჩენს ვაჟას დიდსულოვნებას. ამავე დროს ვაჟა ძალიან გულისხმიერია, წერილში ძმას და რძალს ახსენებს, რომ გარდაცვლილი დედ-მამის საფლავებს მონახულება უნდა, რადგან კავშირი არ უნდა გაწყდეს ხორციელად დაკარგულ ადამიანებთან.

### *წერილები*

*ძმაო სანდრო!*

*„როგორ კარგად გამომატარა იმოდენა გზა შენმა მოცემულმა ბუდილნიკმა. დუშეთამდე ეტლით ჩამოვედი. დუშეთიდამ კი ცხენით. ცხენით როცა გავემგზავრე, მოვმართე ბუდილნიკი და ჩავიდვი ხურჯინში, სახლამდენ სულ დაკვრით ჩამოველი. ისე სიამოვნებით ვიმგზავრე, რომ დაღლა არ გამიგია.*

*სახლშიც კარგად დამხვდნენ, ყველაფერი წესრიგში იყო. სანდრო, აბა შენ იცი, როგორ ჩემს სურვილს შეასრულებ და ამ ზაფხულში წამოხვალთ მთაში. ბაბოც წამოიყვანეე, აქ არაფერი გაგიჭირდებათ, ხუთი ძროხა იწველის ჩვენი. ქათმები, – რამდენიც გინდათ. ჩარგლულა კალმახით სავსეა. ნახევარ საათში იმდენს დაიჭერ, რომ ვერც კი შესჭამთ. სახინკლეც არ მოგაკლდებათ. აბა, გელით უეჭველად, თუ გინდათ, რომ მე კიდევ ფანდური გაგატანოთ აქედან – ჩემს რძალს უყვარს. თედოსაც შეატყობინე, იქნებ ეგეც წამოვიდეს.*

*წამოდით ძმაო, დედმამის საფლავის ნახვა მაინც არ მოგინდათ? როცა დააპიროთ წამოსვლა, წინასწარ მაცოდინეთ, რომ ცხენები დაგახვედროთ დუშეთში აუცილებლად, რომ არ გასწამდეთ. ესე სანდრო, იყავით კარგად.*

*1890 წელი*

* * *

**თეა შავიძე,** XI კლასის მოსწავლე: ვიმუშავე ვაჟას პუბლიცისტურ წერილზე „ფიქრიანი", რომელიც მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი წერილია. ეს არ არის მხოლოდ ერთხელ წასაკითხი წერილი, აქ უნდა იმსჯელო, იფიქრო და იაზროვნო.







## ვაჟა-ფშაველა — 150



საზოგადოება ორ ნაწილად იყოფა – ფიქრიანად და, თუ ვაჟას დავესესხებით – „უფიქრელად“. ფიქრიანი კაცისთვის მართლაც რომ აზრი აქვს ცხოვრებას. როგორც ვაჟა ამბობს: „ფიქრი უცოდველია მანამ, სანამ რამეს იტყვის. ენა მყვირალაა, ფიქრი კი – ჩუმი“. ადამიანები ხშირად უცნაურად იქცევიან – ტკბილ სიტყვებს არ იშურებენ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, მტრობენ ერთმანეთს. ვაჟას უკვირს, რატომ ეუბნება გამარჯობას კაცი თავის მტერს, თუ მისი გამარჯვება და კარგად ყოფნა უნდა, მაშინ რად მტრობს? ფიქრიანმა კაცმა მართლაც ბევრ რამეზე დამაფიქრა.

**ქეთი ასტამაძე,** XI კლასის მოსწავლე: გავეცანი ვაჟა-ფშაველას წერილს – „რას ჰქვიან თავისუფლება“. წერილში გასული საუკუნის ანალიზია, თუმცა დღესაც მწვავე და აქტუალური. მწერლის აზრით, ადამიანი თავისუფალი იბადება, თუმცა მაშინ იზღუდება მისი თავისუფლება, როცა უფროსები ერევიან მის ცხოვრებაში. თავისუფლება ორნაირია: „ბრიყული და გონივრული“ – ამბობს ვაჟა. „ბრიყულია“, როცა ადამიანი მარტოდმარტო თავის თავზე ზრუნავს, ფიქრობს: „მე ვირგო და სხვა წყალმა ზიდოს, მე მქონდეს უფლება სხვა შევურაცხვყო და სხვას კი არა ჰქონდეს ნება პასუხი მომთხოვოს“, გონივრულია თავისუფლება, როცა არ ავიწყდება ადამიანს მეორე მხარეს მდგომი – მოვალეობა, რომელიც სწორ გზაზე გვაყენებს.

**დათო ჯალაღაძე,** X კლასის მოსწავლე: 1892 წელს ვაჟამ გაუგზავნა თავის ძმას – სანდროს წერილი, სადაც ნათლად ჩანს, როგორ უჭირს მას მატერიალურად, მაგრამ პოეტი მხნე და შეუდრეკელია. ზოგადად, როცა ამ წერილებს ვეცნობოდი, მივხვდი, რომ იმ დროში ადამიანებს მეტი სიყვარული, ურთიერთპატივისცემა აკავშირებდათ ერთმანეთთან, რაც სამწუხაროდ, დღევანდელ დროში ნაკლებად იგრძნობა. ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას ჯერ ნაწილობრივ ვიცნობ, პროექტში მონაწილეობამ კიდევ უფრო დიდი ინტერესი გამიჩინა ამ ადამიანის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი.

### *წერილები*

*ჰა, ბეჩავ სანდროს კვნესამე!*

*როგორ ხართ და რას კეთილგუნებას? მე კარგად არა ვარ. გულის ტკივილი დამჩემდა. მოგელით თქვენცა და აღარ კი მოსდიხართ. სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, – ეს რა ამბავია! შენ და გაჩეჩილაძე როგორა ხართ? გაძლევს ფულს თუ არა, მომწერე. ან შიოს საქმე როგორ არის? დემური ნახე და უთხარი, რომ სამი თუმანი თუმც გამომიგზავნა, ორი თუმანიც გამომიგზავნოს. ფული ჩემთვის ძალიან საჭიროა. აღლაძეც ნახე და უთხარი რომ „კაი ყმისა“ ფული გამომიგზავნოს. ჰა, ბეჩავ ბალღო, კაი ყმავ, წაიკითხე კარგად, დედის კვნესამე, გამზდლისა, ამ ლექსს რომ წაიკითხავ, თორმეტი ყური შაიბი, თორმეტი გული ჩაიდევ, ხოლო თვალებს მომატება არ ესაჭიროება. ამ წერილს პაწაწა გრიგოლს ვატანთ.*

*შენი ძმა ვაჟა-ფშაველა*
*1892 წელი*

* * *

**დავით ნოდაძე,** X კლასის მოსწავლე: ძალიან დამაფიქრა ვაჟა-ფშაველას წერილებმა, ვერაფრით წარმოვიდგენდი, ამ გენიალურ პოეტს ასეთი რთული ცხოვრება თუ ჰქონდა. როცა ვაჟას ხელნაწერებს ვეცნობოდი, საოცარი გრძნობა დამეუფლა. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია, 1915 წელს, ვაჟას მიერ ალექსანდრე რაზიკაშვილისადმი მიწერილმა წერილმა, სადაც პოეტი ძმას თავის მძიმე ავადმყოფობის შესახებ უყვება. გმობს ისეთ ძმობას, როდესაც ერთმანეთის დახმარება ძალუძთ, მაგრამ ამას არ აკეთებენ. ვაჟა აქვე აღნიშნავს, ერთი მხრივ, თუ ახარებს თავისი ძმის შვილის – ლევანის გაბედნიერების ამბავი, მეორე მხრივ, სწყინს კიდეც. მას სურს იცოდეს, გააჩნია რამე ლევანის საცოლეს? არ უნდა, არაფრის მქონენი აეკიდნონ ერთმანეთს. წერილის ბოლოს ვაჟა მოკითხვას უგზავნის რძალს და სთხოვს სანდროს, ახალი რძალი გაუგზავნოს მთაში, რადგან სახლაფორთო საქმეების გამო, თავად ვერ მოახერხებს მათთან ჩასვლას. ამ წერილმა ნათლად დამანახა პოეტის ხასიათი. მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა მძიმე პირობებში, სიდუხჭირეში ცხოვრობს, მარტო თავის თავზე და ოჯახზე კი არ ფიქრობს და ზრუნავს, არამედ თავისი ახლობლების ბედიც ადარდებს. არ უნდა, ლევანი უქონელ-უპოვარზე დაქორწინდეს, არა იმიტომ, რომ ანგარებიანია, არამედ იმიტომ, რომ არ უნდა სხვამაც გამოსცადოს ის სიდუხჭირე, რომელშიც თავად ცხოვრობდა.

**ნინო მანთაშაშვილი,** X კლასის მოსწავლე: მე და ჩემი მეგობარი – ქეთი ბურჭულაძე დავინტერესდით და ვიმუშავეთ შნეიდერმანის წერილზე, რომელიც ეხება კინოფილმს „ვედრება“. „ძვირფასო თენგიზ“ – ასე მიმართავს შნეიდერმანი რეჟისორს – თენგიზ აბულაძეს. წერილი განმსჭვალულია გულმხურვალე სიტყვებითა და უდიდესი პატივისცემით. შნეიდერმანი აღფრთოვანებულია ვაჟა-ფშაველას გენიალური ქმნილების გამო. ის გულახდილია, საკუთარ თავსაც კი უსვამს კითხვას: აქვს კი თენგიზთან წერილის გამოგზავნის უფლება?! შიშობს, შეძლებს კი, სასარგებლო ანალიზი გააკეთოს. როგორც წერილიდნ ჩანს, შნეიდერმანი ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებს ფილმის ნახვამდე არც კი იცნობდა, თუმცა მისთვის მაინც ყველაფერი გამჭვირვალე და ადვილად აღქმადი იყო. *„ვედრებაში თქვენ საუბრობთ ცხოვრებასა და სიყვარულზე, კეთილსა და ბოროტზე, ძალადობასა და სისხლზე. ბედნიერი ვარ, რომ ვნახე ეს ფილმი და ვთვლი, რომ ეს ფილმი ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი შენაძენია“.* შნეიდერმანის წერილმა მე და ჩემს თანაკლასელში სიამაყის გრძნობა გააღვიძა, კიდევ ერთხელ მივხვდით, რა საგანძურის პატრონები ვართ ქართველები და რა ბედნიერებაა, როცა ქვეყანას ვაჟა-ფშაველა ჰყავს.

### *წერილები*

*ძმაო სანდრო!*

*შენგან ერთი წერილის მეტი არ მიმიღია და ისიც მაშინ მივიღე, როცა დუშეთიდან დავბრუნდი, ფული გამოგზავნილი მქონდა. ქავთარს ვატან ერთ მანათს ფულსა შენს საგზაოდ. ცხენი ერთის კვიცის მეტი, ხომ იცი, არ მყავს და ნუ დამემდურები, ქვეითი წამოდი. სააღდგომოდ პირდაპირ შინ მოდი. აქ კიდევ ფულს გიშოვნი, ისე არ გაგზავნი.*

*შენი ძმა ვაჟა-ფშაველა*
*1892 წელი*

*ძმაო დათიკო!*

*ჩემი შვილის სახლის პატრონი, ანტონა გოგიაშვილი მოვა მანდ და იმას გადაეცით ჩვიდმეტი მანეთი კვიტანციით. დანარჩენი ცამეტი მანეთი მე გამომიგზავნეთ ამ ადრესით: сел. Тианеты. Луке Разикашвили. До востребования.*

*მომიკითხე შიო მღვიმელი.*

*თქვენი უმორჩილესი მონა ვაჟა-ფშაველა*

**P.S.** *რა დღესაც წერილს მიიღებ, შენი ჭირიმე, ფული იმავე დღეს გამომიგზავნე.*

*ლ. რაზიკაშვილი*
*1897 წ. 28 ოქტომბრამდე*

***მაკა ყიფიანი***



## სოფლის სკოლა

# თანაბარი აქცენტი სწავლასა და სამოქალაქო აღზრდაზე

*ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, დღევანდელი ვანის ტერიტორიაზე, მდებარეობდა ძვ. კოლხეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი, რომელმაც ძვ.წ. III-I სს-ში აყვავებას მიაღწია. გათხრების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალის შესწავლით მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ იმ დროს (ძვ. წ. VI-IV სს) ვანი წარმოადგენდა კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრს და მმართველი ზედაფენის რეზიდენციას, ყვაოდა კულტურა, ხელოვნება, იყო ცხოველი სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ბერძნულ სამყაროსთან.*

*ეს ძალიან შორეული ისტორიული წარსული ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი კუთხისა ვანში ჩემი მოგზაურობის ერთმა შემთხვევამ გამახსენა. სოფლის ცენტრიდან საკმაოდ მოშორებული სოფლიდან ვბრუნდებოდი. მანქანის სიგნალის ხმაზე ეზოებიდან ჩქარი ნაბიჯებით მოეშურებოდნენ მოსამსახურეები, ქალაქიდან ორი დღით ამოსული ადგილობრივები, მოსწავლეები. მათ შორის იყო ახალგაზრდა ქალი ბავშვთან ერთად, რომელიც მიკროავტობუსში ჩემს უკან დაჯდა. ამიტომ მთელი გზა (5-6 კმ. გავიარეთ) კარგად მესმოდა, როგორ აღვიძებდა დროდადრო პატარა საბას, არ დაიძინო ბებო, მალე მივალთ ბაღშიო. ავტობუსი გაჩერდა, მგზავრებმა სხვადასხვა მიმართულებით გააგრძელეს გზა, ბებიამ და ნახევრად მძინარე შვილიშვილმა – საბავშვო ბაღისკენ, მე თბილისისკენ მომავალი ტრანსპორტის გაჩერებასთან სკამზე ჩამოვჯექი. 10 წუთიც არ გასულა, რომ ეს ქალბატონი, თანამოსაუბრესთან ერთად, ჩემ გვერდით აღმოჩნდა და იცით რა გავარკვიე? საღამოს 4 საათამდე (ამ დროს ბრუნდება უკან ავტობუსი) ყოველ დღე ის შვილიშვილს ელოდება და თითქმის მთელ დღეს ნაცნობ-უცნობებთან ლაპარაკში კლავს. გაკვირვებულმა ვკითხე, თუკი არ მუშაობთ, არ გირჩევნიათ, ბავშვი თქვენთან იყოს, ოჯახსაც არ მოწყდებით-მეთქი. მიპასუხა – ამაზე უკეთესს რას გავაკეთებ. აქ იმდენ რამეს სწავლობს საბა, რომ მიღირს, პირობებიც კარგია და აღმზრდელებიც. ბავშვისთვის ასე სჯობს და ამიტომაც ვიჭირვებო.*



*სალიბაურის სკოლა-პანსიონში*

*იქნებ ვაჭარბებ, მაგრამ მგონია, რომ ბებიის გადაწყვეტილება შეგნებული თავგანწირვაა ყველაზე მთავარისა და მნიშვნელოვანისთვის. ეს ხომ არ არის დიპლომისთვის მებრძოლი რიგითი პერსონაჟი (ასეთებიც ბევრია ჩვენში), ის ბავშვის განათლებისთვის თავგადადებული ბებიაა. ასეთებიც მრავლად არიან დღევანდელ საქართველოში, რაც, გარკვეულწილად, ჩვენი ქვეყნის დიდი კულტურული წარსულის გამოძახილიცაა.*

→ 6

სოფლის სკოლა

# თანაბარი აქცენტი სწავლასა და სამოქალაქო აღზრდაზე

მე-5 გვერდიდან

* * *

ვანის რაიონის სოფლის სკოლების გაცნობა შუამთის საჯარო სკოლიდან დავიწყე. შუამთაც ისტორიული სოფელია. თუმცა XIX ს-ის 90-იან წლებამდე იგი ცალკე გეოგრაფიულ ერთეულად არ აღინიშნებოდა, ტობანიერის თემში შედიოდა და ტობანიერად იწოდებოდა. პირველი განათლების კერა აქ 1876 წლიდან ფუნქციონირებს ერთკლასიანი სამრევლო სკოლის სახით, სადაც ძირითადი მასწავლებელი გალაკტიონ ტაბიძის მამა ვასილ ტაბიძე ყოფილა. როგორც გაზეთი „ივერია“ იტყობინება, რამდენიმე წლის შემდეგ აქ უკვე ორკლასიანი სასწავლებელი იხსნება 200 მოსწავლით. აქაურები რომ განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდნენ სოფლის ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს იქიდანაც ჩანს, რომ ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის კურსდამთავრებულს, ტობანიერელ მასწავლებელს **ლავრენტი გეგუჩაძეს** სასწავლებლისთვის შეუწირავს ერთი ქცევა (4000მ²) საბაღე ადგილი, 300 მანეთად ღირებული და გამოუთქვამს სურვილი, რომ ესწავლებინა ბავშვებისთვის მეურნეობა. მას პირველს შემოუღია ვაზის მყნობა; სკოლის ვენახის მოვლა-პატრონობით გარკვეული შემოსავალიც ჰქონდათ.

სხვათა შორის, ვფიქრობ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ XIX საუკუნის მიწურულს ტობანიერის სკოლაში დიდი ზეიმით აღუნიშნავთ პუშკინის დაბადების 100 წლისთავი და დიდი პოეტის სულის მოსახსენებელი პანაშვიდიც გადაუხდიათ.

ყველა შემონახული დოკუმენტი მეტყველებს იმაზე, რომ სკოლა, წლების მანძილზე, წარმატებით ასრულებდა მასზე დაკისრებულ მისიას. 1917 წლიდან უმაღლესი ტიპის პირველდაწყებით სასწავლებლად გადაუკეთებიათ, რომლის ინსპექტორად, წლების განმავლობაში, გალაკტიონის ძმა, პროკლე (აბესალომ) ტაბიძე მუშაობდა. მოგვიანებით, როცა უკვე შვიდწლიან სკოლად გადაკეთდა, იგი სკოლის დირექტორად დაუნიშნავთ. ამავე სკოლაში, სხვა ცნობილ ადამიანებთან ერთად, მასწავლებლად უმუშავია სიმონ ტაბიძეს, ტიციანის ძმას.

შენობა, რომელშიც ახლაა განთავსებული შუამთის სკოლა, 1984 წელს აშენებულა და ტიციანის სახელი მიუნიჭებიათ, მისი ბიუსტი ახლაც დგას სკოლის ეზოში. შენობას და ეზო-გარემოს მზრუნველი ხელი ნამდვილად ეტყობა, თუმცა რემონტს აუცილებლად საჭიროებს. პედაგოგები მადლიერები არიან იმის გამო, რომ სახურავი მთლიანად შეიცვალა და მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები ჩაისვა, ეს რომ არა, შენობის გადარჩენა შეუძლებელი იქნებოდა. დღესაც შუამთის სკოლაში იმდენივე მოსწავლეა, რამდენიც ამ ერთი საუკუნის წინ იყო ორკლასიან სასწავლებელში. თანამედროვე სოფლის სკოლისთვის 203 მოსწავლე ცოტა არ არის (სოფელ ჭყვიშის დაწყებითი კლასების მოსწავლეების ჩათვლით), 30 მასწავლებელი ემსახურება მათ სწავლა-აღზრდას. ჩვენ არ ვიცით რამდენი ხელმოკლე ოჯახისშვილი სწავლობდა მაშინ, მაგრამ დღეს ამ 203-დან, თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, 50 სოციალურად დაუცველია, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმძღვანელოებით ისინი სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. ასეც ხდება, მაგრამ არის გამონაკლისებიც. აქაც 24-მა ბავშვმა მიიღო ახალი სახელმძღვანელო, ზოგს სკოლის ბიბლიოთეკა დაეხმარა მეორადი წიგნებით, ზოგიც ისევ დახმარების მოლოდინშია. მიუხედავად იმისა, რომ დაფინანსების ახალი სისტემით სკოლის დაფინანსება საგრძნობლად შემცირდა, პედაგოგების განწყობაზე ამას დიდად არ უმოქმედია – ჯერ ერთი იმედი აქვთ, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდება და მეორეც – ისეთი მძიმე წლები გამოიარეს, იმდენ გაჭირვებას გაუძლეს და იმდენად გაუმჯობესდა შედარებით ვითარება, რომ იმედი აქვთ ამ მხრივაც შეიცვლება რამე.



*პირველკლასელები პედაგოგთან ერთად*

შუამთის სასკოლო ცხოვრების გაცნობისას სასიამოვნო აღმოჩენა იყო, რომ აქ აქცენტი თითქმის ერთნაირად კეთდება სწავლასა და სამოქალაქო აღზრდაზე. ჯერ რაც შეეხება სწავლას: აქაური მოსწავლეები საკმაოდ აქტიურები არიან საგნობრივ ოლიმპიადებსა თუ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში. წელს ექვსი მეთორმეტეკლასელი გადავიდა ისტორიის ოლიმპიადის II ტურში (პედაგოგი – **მერი ბაზიარი**); ერთიც გეოგრაფიის II ტურში (პედაგოგი – **ნანა კორძაძე**). ასევე კარგი შედეგები აჩვენეს სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში – ქართულში პირველი ხარისხის დიპლომი ოთხმა მოსწავლემ მოიპოვა, II ხარისხის – ორმა (პედაგოგები: **ნათელა ახობაძე, აზა სართანია**); ფიზიკა-ასტრონომიაში კი **ანა სულაბერიძემ** II ხარისხის დიპლომი მოიპოვა (პედაგოგი – **აზა ხანთაძე**).

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი, სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული, ბატონი **რაჟდენ გუმბერიძე** ამბობს, რომ მისი მოსწავლეები ხელოვნებისადმი დიდ ინტერესს იჩენენ, უფრო და უფრო ერკვევიან მხატვრობაში, თვითონაც ხატავენ, მაგრამ მათ ნამუშევრებს სასკოლო ღონისძიებებზე თუ გამოფენენ ხოლმე, თორემ სოფელში საამისოდ სხვა ასპარეზი არც არის, ქალაქელ თანატოლებთან შედარებით მათ თავის გამოჩენის და, შესაბამისად, წარმატების მიღწევის შანსები გაცილებით ნაკლები აქვთ; შარშანდელი საატესტაციო და ეროვნული გამოცდების შედეგები ასეთია – 22 მეთორმეტეკლასელიდან 19 გავიდა გამოცდაზე, 17-მა აიღო ატესტატი, ხოლო 6 სტუდენტი გახდა, მათგან სამმა სახელმწიფო გრანტი მოიპოვა: **ირაკლი გოგაძემ** და **ნინო კიკალიშვილმა** ვერცხლის მედლები დაიმსახურეს. წელს XII კლასში 21 მოსწავლეა და 14 პირველკლასელი.

სკოლაში სპორტის საგნად შემოღება თანდათან ზრდის მოსწავლეთა ინტერესს არჩეული სახეობებისადმი – რაგბი, მძლეოსნობა, ფრენბურთი. *„განსაკუთრებული ინტერესი მაინც რაგბისადმი შეიმჩნევა,* – ამბობს სპორტის მასწავლებელი **გიორგი ქართველიშვილი**, *– წარმატებებიც გვაქვს, თუმცა შარშან მძლეოსნობაში ჩატარებულ რაიონულ შეჯიბრში,* ***რონ ჯოყილაძემ*** *I ადგილი მოიპოვა. ჩვენმა რაგბისტებმა სასკოლო პირველობის ნახევარფინალში იასპარეზეს თბილისში (ისინი საუკეთესო ათეულში იყვნენ) და IV ადგილზე გავიდნენ. ასპარეზობის დასრულების შემდეგ, საუკეთესო „მელელოვეს“ წოდება ჩვენი გუნდის წევრს, მეცხრეკლასელ* ***ბექა გიორგაძეს*** *მიენიჭა, რამაც ყველანი გაგვახარა. მომავალში შედეგის გაუმჯობესების დიდი იმედი გვაქვს“.*

რაც შეეხება მოსწავლეთა სამოქალაქო აღზრდის კუთხით გაწეულ საქმიანობას, ამის შესახებ სკოლის დირექტორი **ლალი სულაბერიძე** გვიამბობს: *„სკოლის უმთავრესი მისია, რა თქმა უნდა, სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაა, მაგრამ ამავე დროს, დარწმუნებული ვარ, რომ ის აქტივობები, რასაც ჩვენ ვახორციელებთ და რასაც მოითხოვს სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისგან, არანაკლებ მნიშვნელოვანია მოზარდის საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის, დღევანდელ საქართველოში ეს მეტად აქტუალური საკითხია, ამიტომაც არ გავუშვით ხელიდან შანსი გვეთანამშრომლა ნავთობკომპანიასთან (BP). ამ თანამშრომლობის აქტიური მონაწილეები სკოლის მხრიდან ჩვენი მოსწავლეები არიან. პირველი დიდი პროექტი, რომელიც BP-მ დააფინანსა 8000-ლარიანი გრანტი იყო. სკოლის პედკოლექტივის და მოსწავლეების გადაწყვეტილებით იგი სააქტო დარბაზის გარემონტებასა და მოწყობას დაეთმო. მას შემდეგ აქ არაერთი რაიონული და ზონალური მასშტაბის ღონისძიება მოეწყო. გარდა იმისა, რომ სივრცე იძლევა ამის საშუალებას (ყოფილა შემთხვევა, როცა 7-8 სკოლის წარმომადგენელი გვყოლია სტუმრად), სააქტო დარბაზი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით – პიანინო, კომპიუტერი, ხმის გამაძლიერებელი და ა.შ. შარშან კიდევ ერთი პროექტი დააფინანსა ამ კომპანიამ 200 დოლარით – ეს ეკოლოგიური ხასიათის პროექტი იყო (ხელმძღვანელი – ბიოლოგიის მასწავლებელი* ***თალიკო ღვინიანიძე****). მასში ძირითადად VIII-კლასელები მონაწილეობდნენ; მოსწავლეებმა გაწმინდეს სკოლის ტერიტორია, აიღეს მდინარის სინჯები; დაკვირვებას ახდენდნენ ფრინველებზე – „ბაღის ფრინველის საათი“ – ასე ერქვა ამ ღონისძიებას, რომლის პრეზენტაცია შემდეგ ქუთაისში გამართეს და სიგელითაც დაჯილდოვდნენ“.*

ბოლო წლებში სკოლაში გამოიკვეთა აქტიური მოსწავლეების ჯგუფი. ისინი ხალისით ერთვებიან საზოგადოებრივ საქმიანობაში და აქედანვე ითავისებენ იმ უნარ-ჩვევებს, რომელიც აუცილებლად გამოადგებათ საკუთარი ადგილის დამკვიდრებისათვის საზოგადოებაში.

**მარიამ ბურკაძე**, სკოლის ლიდერი (X კლასი): *„მე კარგად ვსწავლობ, მაგრამ არანაკლებ მომწონს ეს საქმიანობა. BP-სთან თანამშრომლობამ საშუალება მოგვცა გაგვევლო ტრენინგები, სადაც გვასწავლიან, როგორ გამოვიმუშაოთ მოსმენისა და კომუნიკაციის უნარი, როგორ წარმოვაჩინოთ მაქსიმალურად საკუთარი თავი. მე ამავე დროს სკაუტიც ვარ და ვისწავლე პროექტის წერა. ჩემ მეგობრებთან ერთად ველოდები პასუხს BP-სგან თუ მივიღეთ დაფინანსება, ამ ფულით სკოლის ბიბლიოთეკას შევავსებთ. ჩვენი სკოლის 20 მოსწავლე, VIII-XI-კლასელები, ახალგაზრდული ორგანიზაციის „სკაუტური, ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრის“ ხელმძღვანელობით ვმუშაობთ. მათ მიერ ჩატარებული ტრენინგები უნარ-ჩვევების განვითარებას ემსახურება. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ჩვენთვის ამ ზაფხულს, ბათუმის სკოლა-პანსიონ „სალიბაურში“ ჩატარებული ორდღიანი ღონისძიება, რომელშიც ჩვენი სკოლის 6 მოსწავლე ვმონაწილეობდით – კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონულ ცენტრში VIII-კლასელთათვის ჩატარდა საინფორმაციო ხასიათის შეკრება, აგრეთვე მოეწყო იმიტირებული სასამართლო პროცესი. გვინდა, რაც შეიძლება მეტი ბავშვი დაინტერესდეს და ჩაერთოს ამ საქმიანობაში. მიღებული გამოცდილება აუცილებლად წაადგებათ მათ როგორც კონკრეტულ სფეროში საქმიანობაში, ისე ზოგადად, ცხოვრებაში“.*

ორიოდ სიტყვით სოფელ ჭყვიშში დარჩენილი დაწყებითი სკოლის შესახებაც მინდა გიამბოთ (იგი შუამთის სკოლასთან მიერთების შემდეგ ცალკე აღარ მოიხსენიება). ხის შენობა, რომელშიც ადრე იყო განთავსებული ჭყვიშის სკოლა, რამდენიმე წელია აღარ არსებობს. იგი წინა მოწვევის საპარლამენტო არჩევნების დეპუტატობის კანდიდატის ინიციატივით დაუშლიათ და ახალიც აუშენებიათ, ოღონდ სანახევროდ, სულ ორი ოთახია დასრულებული, მშენებლობა მიტოვებულია. თუმცა, 9 ბავშვისთვის ეს ფართობიც საკმარისია, მაგრამ სასურველი იყო არქიტექტურაც უფრო მსუბუქი, სასკოლო შენობისთვის შესაფერისი ყოფილიყო. ამასთან ერთვის სრულიად გაუგებარი გადაწყვეტილება სკოლის ეზოში მცირე სპორტული მოედნის აშენების, რადგან რკინის ბადე მიდგმულია და თითქმის მთლიანად ფარავს ფასადის ნახევარს, მოედნის შუაგულში მოყოლილია 2 ნაძვის ხე, რომელიც დღეს თუ ხვალ აუცილებლად მოიჭრება. თუ სოფელში სხვა ადგილი ვერ მოიძებნა სპორტული მოედნისთვის, ალბათ, სჯობდა, საერთოდ არ აშენებულიყო, რათა უფრო მეტად არ დაუშნოებულიყო ისედაც უსახური შენობა, სადაც ოთხი პირველკლასელი – **ნინო ბაღდავაძე, ანა** და **ავთო კოპალეიშვილები** და **მარიან კორძაძე** ყოველდღე მიიჩქარიან საყვარელ პედაგოგთან **ქეთევან სტურუასთან** შესახვედრად.



*შუამთის სკოლის სპორტულ დარბაზში*

***ანა ფირცხალაიშვილი***

მეთოდიკა

# ფიზიკის პედაგოგთა დასახმარებლად

## დინამიკა (ნიუტონის კანონები)

### ამოცანა 10




$m_1$ მასის და $l$ სიგრძის ძელი მოთავსებულია გლუვ ჰორიზონტალურ ზედაპირზე. ძელზე დადეს $m_2$ მასის სხეული და მოსდეს ისეთი $F$ ძალა (იხ. სურათი), რომ სხეულმა ძელზე სრიალი დაიწყო. ხახუნის კოეფიციენტი სხეულსა და ძელს შორის μ-ს ტოლია. რა დროის შემდეგ ჩამოვარდება სხეული ძელიდან?

*ამოხსნა:*

დავწეროთ ნიუტონის მეორე კანონის ფორმულა ძელისთვის და სხეულისთვის F ძალის გასწვრივ: $F - F_b = m_1a_1$, $F_b = m_2a_2$, სადაც $F_b$ არის ხახუნის ძალა სხეულსა და ძელს შორის, $a_1$ და $a_2$ კი – ძელისა და სხეულის აჩქარებები. სხეული ძელზე გასრიალდება იმ შემთხვევაში, თუ ხახუნის ძალა ტოლი აღმოჩნდება $F_b = \mu m_2 g$-ის. ამის გათვალისწინებით მივიღებთ:

$$a_1 = \frac{F - \mu m_2 g}{m_1}, \text{ და } a_2 = \mu g.$$

ცხადია, რომ $a_1 > a_2$ ($a_1 = a_2$-ის შემთხვევაში სრიალი არ იქნება და $a_1 < a_2$ შეუძლებელია). სხეულის აჩქარება ძელის მიმართ ძელის აჩქარების საწინააღმდეგოდაა მიმართული და მოდულით ტოლია:

$$a = a_1 - a_2 = \frac{F - \mu m_2 g}{m_1} - \mu g = \frac{F - \mu g(m_1 + m_2)}{m_1}.$$

რადგან გასრიალების დაწყებამდე სხეული ძელის მიმართ უძრავი იყო, სხეულის ძელზე მოძრაობის დრო შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ ფორმულიდან:

$$l = \frac{at^2}{2}, \text{ საიდანაც } \quad t = \sqrt{\frac{2l}{a}} = \sqrt{\frac{2lm_1}{F - \mu g(m_1 + m_2)}}.$$

### ამოცანა 11

გლუვ, ჰორიზონტალურ ზედაპირზე მოთავსებულია M=2 კგ მასის კუბი, რომელსაც ზემოდან ადევს $m$=1 კგ მასის ძელაკი. ძელაკი და კუბი ერთმანეთთან დაკავშირებულია უძრავ ჭოჭონაქზე გადადებული მსუბუქი ძაფით (იხ. სურათი). რა ჰორიზონტალური ძალა უნდა მოვდოთ კუბს, რომ იგი $a = g/2$ აჩქარებით ამოძრავდეს? კუბსა და ძელაკს შორის ხახუნის კოეფიციენტი μ=0,5. კუბსა და ზედაპირს შორის ხახუნი უგულებელყოფილია.




*ამოხსნა:*

ნიუტონის მეორე კანონის ფორმულას კუბისა და ძელაკისთვის ძალის მოქმედების მიმართულების გასწვრივ აქვს შემდეგი სახე:

$F - T - F_b = Ma$, (1) $\qquad F_b - T = -ma$, (2)

სადაც $T$ არის ძაფის დრეკადობის ძალა და $F_b$ - სხეულებს შორის ხახუნის ძალა, რომელიც ტოლია: $F_b = \mu mg$. ეს ძალა კუბისთვის მიმართულია ჰორიზონტალურად მარცხნივ, ძელაკისთვის კი - მარჯვნივ, ანუ თითოეული მათგანის ურთიერთმოძრაობის სიჩქარის მიმართულებების საპირისპიროდ. ძელაკისა და კუბის აჩქარებებიც ურთიერთსაპირისპიროდაა მიმართული. თუ ამ ფორმულებში შევიტანთ ხახუნის ძალის მნიშვნელობას და (1) განტოლებას გამოვაკლებთ (2) - ს, მივიღებთ:

*$F - 2\mu mg = (M+m)a$, საიდანაც $F = (M+m)a + 2\mu mg = 25$ ნ.*

### ამოცანა 12

ადამიანი მოსრიალებს α=30°-იან ფერდობზე ციგით. ადამიანის მასა M ორჯერ მეტია ციგის m მასაზე. ფერდობის ზედაპირთან ციგის ხახუნის კოეფიციენტი $\mu$=0,3. რა მიმართულებით და რა სიდიდის აჩქარებით უნდა ამოძრავდეს ციგის მიმართ ადამიანი, რომ ციგამ თანაბრად ისრიალოს?

*ამოხსნა:*

პირველ რიგში შევამოწმოთ როგორ მოძრაობს ციგა – ხომ შეიძლება, რომ მასზე ადამიანის უძრავად ჯდომის შემთხვევაშიც კი ციგა თანაბრად სრიალებდეს. ამისათვის ციგა და ადამიანი განვიხილოთ როგორც ერთი სხეული და დავწეროთ მისი მოძრაობის განტოლება (ნიუტონის მეორე კანონი) ფერდობის გასწვრივ (x) და მის მართობ (y) მიმართულებებზე (იხ. სურ.1):




სურ. 1

$F_ს \sin\alpha - F_b = (M+m)a$, (1) $\qquad N - F_ს \cos\alpha = 0$. (2)

$F_ს = (M+m)g$, $F_b = \mu N$. (2)-დან $N = F_ს \cos\alpha = (M+m)g \cos\alpha$, ამიტომ $F_b = \mu(M+m)g \cos\alpha$. ამ სიდიდეების (1) ფორმულაში ჩასმით და შემდგომი გამარტივებით მივიღებთ: $a = g(\sin\alpha - \mu\cos\alpha) \approx 2{,}4$ მ/წმ².

ეს კი იმას ნიშნავს, რომ უძრავად მჯდომი ადამიანი ციგასთან ერთად აჩქარებულად მოსრიალებს.

ფერდობზე ციგის თანაბარი მოძრაობისათვის საჭიროა, რომ ციგაზე იმოქმედოს ფერდობის გასწვრივ ზევით (მოძრაობის საწინააღმდეგოდ) მიმართულმა ძალამ. ეს ძალა წარმოადგენს ადამიანსა და ციგას შორის ურთიერთქმედების ხახუნის ძალას, რომელიც წარმოიქმნება ადამიანის ციგაზე ქვემოთ გადაადგილებით. ამ შემთხვევაში უნდა განვიხილოთ ადამიანზე და ციგაზე მოქმედი ძალების გეგმილები ამ შემთხვევაში ცალკ-ცალკე და დავწეროთ მოძრაობის განტოლებები პირველი შემთხვევის მსგავსად. აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ადამიანზე მოქმედი ციგასთან ხახუნის ძალა $\vec{F_{1b}}$ მიმართულია ქვევით (ადამიანის ციგაზე მამოძრავებელი ძალა), ხოლო ციგაზე მოქმედი მოდულით ტოლი ძალა $(\vec{F'_{1b}})$ მიმართულია ზევით (იხ. სურ. 2). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის უძრაობის ხახუნის ძალა.




სურ. 2

ადამიანის მოძრაობის განტოლებას ფერდობის გასწვრივ მიმართულებაზე შემდეგი სახე ექნება:

$F_{1b} + Mg \sin\alpha = Ma$ (3). აქედან

$$a = \frac{F_{1b} + Mg \sin\alpha}{M} \quad (4).$$

ხახუნის ძალის გასაგებად დავწეროთ ფერდობის გასწვრივ მიმართულებაზე ციგის მოძრაობის განტოლება ციგის თანაბარი მოძრაობისთვის:

$mg\sin\alpha - \mu(M+m)g\cos\alpha - F_{1b} = 0$. აქედან განვსაზღვროთ $F_{1b}$:

$F_{1b} = mg\sin\alpha - \mu(M+m)g \cos\alpha$ და ჩავსვათ (4)- ში. მივიღებთ:

$$a = \frac{M+m}{M} g(\sin\alpha - \mu\cos\alpha) \approx 3{,}6 \text{ მ/წმ}^2$$

### ამოცანა 13

უძრავად დამაგრებული ნახევარსფეროს უმაღლესი წერტილიდან მოძრაობას იწყებს m მასის მცირე ზომის სხეული (იხ. სურ. 1). იმ მომენტში, როდესაც სურათზე გამოსახული კუთხე α-ს ტოლია (წერტილი A) სხეულის სიჩქარე v-ს უტოლდება. სხეულის ზედაპირთან ხახუნის კოეფიციენტია μ. რა $F$ ძალით აწვება სხეული ნახევარსფეროს ზედაპირს A წერტილში?

*ამოხსნა:*




ნიუტონის მესამე კანონის თანახმად, რა ძალითაც აწვება სხეული ზედაპირს, იმავე ძალით მოქმედებს ზედაპირი სხეულზე, ანუ $N = F$. N-ის გასაგებად დავწეროთ სხეულის მოძრაობის განტოლება ვექტორული ფორმით:

$\vec{N} + m\vec{g} + \vec{F_b} = m\vec{a}$, სადაც $\vec{a}$ სხეულის ცენტრისკენული და მხები აჩქარებების ვექტორული ჯამია. მხები აჩქარება მიმართულია $R$-ის (რადიუსის) მართობულად, ცენტრისკენული აჩქარება კი მიმართულია ამ რადიუსის გასწვრივ და ტოლია $\frac{v^2}{R}$-ის.

რადიუსის მართობულია აგრეთვე ხახუნის ძალაც, მაგრამ ის მიმართულია სხეულის მოძრაობის და შესაბამისად მხები აჩქარების საპირისპიროდ. ამიტომ, თუ მოცემულ ვექტორულ განტოლებას დავაგეგმილებთ რადიუსის გასწვრივ ცენტრისკენ მიმართულებაზე, მივიღებთ:

$$mg\cos\alpha - N = m\frac{v^2}{R}, \text{ საიდანაც}$$

$$N = mg\cos\alpha - m\frac{v^2}{R}, \text{ ე.ი.}$$

$$F = mg\cos\alpha - m\frac{v^2}{R}.$$

მიღებული შედეგიდან ჩანს, რომ საძიებელი ძალა არ არის დამოკიდებული ხახუნის კოეფიციენტზე ხახუნის ძალის მართობული მიმართულების გამო.

### ამოცანა 14




სურ.1




სურ.2

α=30°-ით დახრილ სიბრტყეზე მოთავსებული m=2 კგ მასის სხეული მოსრიალებს 1 მ/წმ² აჩქარებით. სიბრტყის მართობული რა მინიმალური ძალით (იხ. სურ. 1) უნდა ვიმოქმედოთ სხეულზე, რომ მან თანაბრად ისრიალოს?

*ამოხსნა:*

ჯერ დავადგინოთ რას უდრის სხეულსა და სიბრტყეს შორის ხახუნის კოეფიციენტი. ამისათვის დავწეროთ სხეულის სიბრტყეზე მოძრაობის განტოლება F ძალის მოქმედების დაწყებამდე:

$$m\vec{g} + \vec{N} + \vec{F_b} = m\vec{a}.$$

განტოლების დახრილი სიბრტყის გასწვრივ (x) და მის მართობულ (y) ღერძებზე დაგეგმილებით მივიღებთ:

$mg \sin\alpha - F_b = ma$, $N - mg \cos\alpha = 0$. თუ გავითვალისწინებთ, რომ $F_b = \mu N$, მივიღებთ, რომ $a = g(\sin\alpha - \mu\cos\alpha)$, საიდანაც

$$\mu = \frac{g\sin\alpha - a}{g\cos\alpha} \approx 0{,}46$$

ახლა შეგვიძლია დავწეროთ სხეულის მოძრაობის განტოლება $F$ ძალის მოქმედებისას x და y ღერძების გასწვრივ (იხ. სურ. 2):

$mg\sin\alpha - F_b = 0$, $N - mg\cos\alpha - F = 0$, აქედან $N = mg\cos\alpha + F$, ამიტომ $F_b = \mu mg\cos\alpha + \mu F$ და და $mg\sin\alpha - \mu mg\cos\alpha - \mu F = 0$.

საბოლოოდ მივიღებთ:

$$F = \frac{mg(\sin\alpha - \mu\cos\alpha)}{\mu} \approx 4{,}3 \text{ ნ.}$$


**თეიმურაზ გაჩეჩილაძე**

*აკად. ი. ვეკუას სახ. ფიზიკა-მათემატიკის №42 საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი და დირექტორის მოადგილე*

საუბრები ბიბლიაზე

# უფალთან შეხვედრა



რუბრიკას უძღვება
*მაკა თაქთაქიშვილი*

„მწყემსავდა მოსე თავისი სიმამრის, მიდიანელი მღვდლის, ითროს, ცხვარს. წაასხა ერთხელ ცხვარი უდაბნოს იქით და მიადგა ღვთის მთას, ხორებს“ (გამ.3:1). ტრადიციულად, მწყემსები ცხვარს სახლთან ახლოს აძოვებდნენ ხოლმე, რადგან უდაბნო მრავალ საფრთხეს ქმნიდა მარტოდ დარჩენილი მწყემსისათვის. გარეულ ცხოველებთან ერთად ათასი ჯურის მძარცველი და ყაჩაღი დაძრწოდა სარჩო-საბადებლის მოსაპოვებლად. ამიტომაც მოსეს წასვლა „უდაბნოს იქით“, ანუ სახლიდან უკიდურესად შორს, მის განსაკუთრებულ განწყობაზე მიგვითითებს.

ორმოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მოსე ითროს სიძე და მწყემსი გახდა. ეს დრო მოსემ თავდაუზოგავი შრომით განვლო. შრომას თან სდევდა შემეცნება, ფიქრი, საკუთარი სულისა და ღვთის არსის ჭვრეტა. ამ დროის განმავლობაში, მოსე სრულიად განმზადდა უფალთან შესახვედრად. და აი, საუფლო ფიქრებით გართული მიადგა უდაბნოს კიდეს, სადაც ღვთის მთა – ხორები, ანუ სინაი მდებარეობდა. სწორედ აქ, მას პირველად გამოეცხადა უფლის ანგელოზი და ეს გამოცხადება უჩვეულო აღმოჩნდა. მოსეს მისი ხმა ცეცხლის ალში გახვეული მაყვლის ბუჩქიდან შემოესმა. სასწაული კი ის გახლდათ, რომ მაყვლოვანს ცეცხლი ეკიდა და არ იწვოდა: „გამოეცხადა უფლის ანგელოზი ცეცხლის ალად შუაგულ მაყვლოვანში. ხედავს, ცეცხლი უკიდია მაყვლოვანს, მაგრამ არ იწვის მაყვლის ბუჩქი“ (გამ.3:2). ცეცხლის ალში გახვეული მაყვლის ბუჩქი ებრაელი ხალხია, რომელსაც ეგვიპტელების ძალადობის გამო ცეცხლი უკიდია, მაგრამ ღვთის რჩეულია და არ იწვის, არ იფერფლება.

„თქვა მოსემ: მივალ და ვნახავ ამ დიდებულ სანახავს, რატომ არ იწვის მაყვლოვანი“ (გამ.3:3). გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და შემოესმა უფლის ხმა: „...მოსე! მოსე! მიუგო: აქა ვარ“ (გამ.3:4). ისევე, როგორც გამორჩეულ მამამთავარ აბრაამს საგანგებო გამოცდის წინ, ორჯერ მოუხმო უფალმა მოსეს. აბრაამის პასუხი (დაბ.22,1) უფალს მინდობილი ადამიანის პასუხი იყო. ასეა მოსეც, შინაგანად მოსე მზად არის მოისმინოს უფლის დავალება. ამ მომენტიდან მოსე ხორციელადაც და სულიერადაც აბრაამის პირდაპირი მემკვიდრეა.

„უთხრა: (უფალმა) ახლოს ნუ მოხვალ! გაიძრე ფეხსამოსი, რადგან ეს ადგილი, სადაც შენ დგახარ, წმიდა მიწაა“ (გამ.3:5). ბიბლიაში ფეხშიშველის სიმბოლო სხვადასხვაგვარად გამოიყენება, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ის მოწიწების, ღვთის მორჩილების ნიშანია. ფეხის სამოსის გახდით მოსეს ცხოვრებაში სიმბოლურად სრულდება ერთი – მიწიერი პრობლემებით დამძიმებული ეტაპი და იწყება ახალი – სულიერი მისიის პასუხისმგებლობით აღსავსე ცხოვრება.

სასწაულის ხილვით მონუსხული მოსე შედგა. ის მზად არის უმაღლესი ჭეშმარიტების მისაღებად და ღირსია იმისა, რომ შეასრულოს განსაკუთრებული მისია – გამოიხსნას ებრაელი ხალხი ეგვიპტიდან და მიიყვანოს „...მადლიანსა და ვრცელ ქვეყანაში, სადაც ღვარად მოედინება თაფლი და რძე, ქანაანელთა, ხეთელთა, ამორეველთა, ფერიზეველთა, ხივიელთა და იებუსეველთა ქვეყანაში“ (გამ.3:8).

„უთხრა: მე ვარ მამაშენის ღმერთი, აბრაამის ღმერთი, ისაკის ღმერთი, იაკობის ღმერთი. სახე დაიფარა მოსემ, რადგან ღვთის ხილვისა შეეშინდა“ (გამ.3:6). საგულისხმო სიტყვებია, არ იბადება დედამიწაზე ადამიანი წარსულის, წინაპრების, ფესვების გარეშე. მოსეც მემკვიდრეა, გამგრძელებელია, უფლის რჩეული ერის მამამთავარი და ღირსეულ წინაპართა საქმის დამაგვირგვინებელია.

„თქვა უფალმა: ვიხილე ჩაგვრა ჩემი ერისა ეგვიპტეში და მომესმა ზედამხედველებისგან გამწარებულთა ღაღადი. რაკი გავიგე მისი გასაჭირი, ჩამოვედი, რომ ვიხსნა იგი ეგვიპტელთაგან“ (გამ.3:7). უიმედოდ დარჩენილი ებრაელები ღმერთისკენ შებრუნდნენ, მას შესთხოვეს შვება, უფალმაც შეუნდო მრავალი წლის ულმერთობა, ისმინა რჩეული ერისა და მშველელი განუმზადა. „ახლა გაგგზავნი ფარაონთან, რომ გამოიყვანო ეგვიპტიდან ჩემი ერი, ისრაელიანები“ (გამ.3:10) – მიმართა მოსეს. მოსესთვის ეს მეტად საშიში და საპასუხისმგებლო დავალებაა. ის დარწმუნებულია, რომ ეგვიპტელი ზედამხედველის მკვლელობა და მისი გაქცევა კიდევ ახსოვთ ფარაონსაც და მის ქვეშევრდომებსაც, ამიტომ მოსეს პასუხი, ერთი მხრივ, თავმდაბალი მორჩილების გამომხატველია და, მეორე მხრივ, შიშსა და არასაკმარის რწმენაზე მიგვანიშნებს – მიუგო „...მე ვინ ვარ, ფარაონთან რომ წავიდე და გამოვიყვანო ისრაელიანები ეგვიპტიდან?“ (გამ.3:11). უფალი სრულიად აქარწყლებს მოსეს ეჭვებს – „უთხრა: მე ვიქნები შენთან. ეს გქონდეს იმის ნიშნად, რომ ჩემი გაგზავნილი ხარ: როცა ეგვიპტიდან გამოიყვან ჩემს ერს, თაყვანი ეცით ღმერთს ამ მთაზე“(გამ.3:12).

უფალი მოსეს პირისპირ ესაუბრება. მოსეს არ სჭირდება სხვა რაიმე ნიშანი რწმენისათვის, თუმცა ნიშანი სჭირდება მის ხალხს და მაშინ, როდესაც ებრაელები გამოვლენ ეგვიპტიდან და ურწმუნობით შეპყრობილნი მოითხოვენ ნიშანს, მოსე წმინდა მიწაზე, სინაის მთასთან მოიყვანს მათ და გამოეცხადება მათ უფალი, ეს იქნება უტყუარი ნიშანი ამ ხალხისათვის. „უთხრა მოსემ ღმერთს: კარგი, მივედი ისრაელიანებთან და ვუთხარი, თქვენი მამა-პაპის ღმერთმა გამომგზავნა-მეთქი. თუ მკითხეს მისი სახელი, რა ვუპასუხო?“ (გამ.3:13). გადმოცემის თანახმად, ღვთაებრივ ცოდნას ერის რჩეულები – უხუცესები საიდუმლოდ თაობიდან თაობას გადასცემდნენ და სჯეროდათ, რომ მოვიდოდა მხსნელი, რომელსაც წმინდა სახელი უშუალოდ ღვთისგან უნდა სცოდნოდა თუ მისი ცოდნა დაემთხვეოდა უხუცესების გადმოცემას, უხუცესები დარწმუნდებოდნენ, რომ სწორედ ეს არის კურთხეული მხსნელი.



„უთხრა ღმერთმა მოსეს: მე ვარ, რომელიც ვარ. კვლავ უთხრა: ასე უპასუხე ისრაელიანებს: რომელიც ვარ მგზავნის თქვენთან. კვლავ უთხრა ღმერთმა მოსეს: ასე უთხარი ისრაელიანებს: უფალმა, თქვენი მამა-პაპის ღმერთმა, აბრაამის ღმერთმა, ისაკის ღმერთმა, იაკობის ღმერთმა გამომგზავნა თქვენთან. ეს არის ჩემი სახელი უკუნითი უკუნისამდე, ეს არის ჩემი სახსენებელი თაობიდან თაობამდე“ (გამ.3:14-15). იმისათვის, რომ ხალხი დაუბრუნდეს უფალს და ჭეშმარიტი რწმენა დაუბრუნდეს ხალხს, მათ უნდა გაახსენდეთ საკუთარი ფესვები, წინაპრები... რანი არიან და საიდან მოდიან, რადგან მეხსიერება აბრაამის, იაკობისა და ისააკის შესახებ გააღვივებდა ამ პატრიარქებისათვის დამახასიათებელ თავისუფლების, ღირსების, ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვის აწ უკვე მივიწყებულ შეგრძნებებს. „წადი, შეკრიბე ისრაელის უხუცესები და უთხარი მათ: უფალი, თქვენი მამა-პაპის ღმერთი, გამომეცხადა, აბრაამის ღმერთი, ისაკის ღმერთი და იაკობის ღმერთი, და მითხრა: მოგხედავთ თქვენ და თქვენს გასაჭირს ეგვიპტეში“ (გამ. 3:16). უფალი კვლავ მოუწოდებს მოსეს, შეკრიბოს ერის უხუცესები, რადგან სწორედ უხუცესები ინახავენ პატრიარქების საიდუმლო გადმოცემას, მათ უნდა გამოსცადონ უფლისგან წარგზავნილი მხსნელი, ისინი არიან ნდობითა და სათანადო ავტორიტეტით აღჭურვილნი, მათ მოწოდებას დაიჯერებს ხალხი, მათ გამოჰყვება ებრაელი ერი. და მხოლოდ მაშინ, როდესაც უხუცესები დარწმუნდებიან მოსეს ჭეშმარიტ მისიაში, ერწმუნებიან მის სიტყვებს, მოსესთან ერთად წარდგებიან ფარაონის წინ და ეტყვიან: „...უფალი, ებრაელთა ღმერთი გამოგვეცხადა. ახლა უდაბნოში გავალთ სამი დღის სავალზე, რომ მსხვერპლი შევწიროთ უფალს, ჩვენს ღმერთს“ (გამ.3:18). საინტერესოა, რომ ფარაონს ებრაელები უფლისათვის მსხვერპლის შეწირვის ნებართვას სთხოვენ. ადვილი წარმოსადგენია, რომ ფარაონი არ მისცემს მათ ამის უფლებას, რადგან კარგად განსწავლულმა, ფილოსოფიურ ტრაქტატებზე აღზრდილმა იცის, სულაც არ არის აუცილებელი ხალხმა თავისუფლება, ან მონობიდან დახსნა ითხოვოს, რადგან მსხვერპლის შეწირვა ჭეშმარიტი რწმენისკენ შებრუნებას ნიშნავს, ჭეშმარიტი რწმენა კი შინაგანი თავისუფლებისაკენ გადადგმული ნაბიჯია.

„ვიცი, არ გაგიშვებთ ეგვიპტის მეფე, თუ მაგარმა ხელმა არ აიძულა. მოვიღერებ ხელს და დავსჯი ეგვიპტეს მთელი ჩემი სასწაულებით, რომლებსაც მოვახდენ მის შუაგულში. მხოლოდ ამის შემდეგ გაგიშვებთ იგი“ (გამ.3:19-20) – დაჰპირდა უფალი მოსეს. ცალკეული სტიქიის მფარველი ეგვიპტური ღმერთები ათ სასწაულს მიიღებენ ფარაონის დასარწმუნებლად და მხოლოდ ამის შემდეგ გამოუშვებს ფარაონი ებრაელებს თავისი ქვეყნიდან. უფალი ღმერთი იქნება მოსეს გვერდით, როცა შეერკინება ფარაონს ეგვიპტიდან ხალხის გამოსაყვანად. ამით დაიწყება ისრაელიანთა ისტორია, ეს იქნება დასაწყისი ახალი ხალხის ამბისა, მაგრამ მოსეს სურს უტყუარი ნიშნები იმისა, რომ მან, მოსემ, კაცმა, რომელიც მთელი ორმოცი წელიწადი მოშორებული იყო თავის ხალხს, ნამდვილად იხილა ღმერთი და მიიღო მისგან დავალება თავისი ხალხის გადასარჩენად. უფალი აძლევს მოსეს სამ სასწაულს: ერთი ეხება კვერთხს – „უთხრა: მიწაზე დააგდე! დააგდო მიწაზე და გველად იქცა. და გაერიდა მას მოსე“ (გამ.4:3). მეორე – კეთრს, რომელიც უცაბედად შეეყრება მოსეს და ასევე უცაბედად დასტოვებს (4:6-7), „თუ ამ ორ სასწაულზეც არ გერწმუნენ და არ შეისმინეს შენი სიტყვა, ამოიღე წყალი ნილოსიდან და ხმელეთზე დაღვარე. წყალი, რომელსაც ნილოსიდან ამოიღებ, სისხლად იქცევა ხმელეთზე“ (გამ.4:9) – უმხელს უფალი მესამე სასწაულს მოსეს.

მოსე კვლავ ჯიუტობს, მძიმეა ტვირთი, რომელიც უნდა ზიდოს. იმიზეზებს ენამძიმობას „უთხრა მოსემ უფალს: გევედრები, უფალო! მჭევრმეტყველი კაცი არ ვყოფილვარ არც გუშინ, არც გუშინწინ და არც მას მერე, რაც ლაპარაკი დამიწყე შენს მორჩილს. ბაგემძიმე და ენამძიმე ვარ“ (გამ.4:10). უფალი პასუხობს: „ვინ მისცა ბაგე ადამიანს, ვინ ბადებს მუნჯს ან ყრუს, თვალხილულს ან ბრმას, თუ არა მე, უფალი? ახლა წადი და მე ვიქნები შენს ბაგესთან: გასწავლი, რა უნდა თქვა“ (4:11-12). მაინც ჯიუტობს მოსე „უთხრა მოსემ: გევედრები, უფალო, სხვა ვინმე გაგზავნე“ (გამ.4:13). განრისხდა უფალი მოსეს და უთხრა „...განა შენი ძმა არ არის ლევიანი აარონი? ვიცი, რომ ლაპარაკით ის ილაპარაკებს. აჰა, მზად არის იგი შენს შესახვედრად, დაგინახავს და გულით გაიხარებს“(გამ.4:14).

მისია მიღებულია. მოსე ეგვიპტეში ბრუნდება.

## ინფორმაცია

* * *

აფხაზეთიდან დევნილმა მოზარდებმა საქართველო-აზერბაიჯანის ერთობლივ პროექტში „ჩემი სამშობლო“ მიიღეს მონაწილეობა. პროექტის ფარგლებში, 12-15 წლამდე მოზარდებს აზერბაიჯანიდან, სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან უნდა წარმოედგინათ მეგობრობის თემაზე შესრულებული ნახატები. სულ 140 მონაწილე იყო.

კონკურსანტების ნამუშევრები ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა გალერეაში გამოიფინა. კომპეტენტურმა ჟიურიმ გამოავლინა 8 გამარჯვებული, რომელთაგან 4 აფხაზეთიდან დევნილი მოზარდია: გიორგი ხარბედია, დავით ღადუა (სახელოვნებო სკოლა „აფხაზეთი1“), დიმა ქუხილავა (აფხაზეთის №1 საჯარო სკოლა), მეგი კორსაშვილი (სოხუმის შერვაშიძე-ჩაჩბას სახელობის სამხატვრო სკოლა).

პროექტი, რომელიც საქველმოქმედო ფონდის „ხელოვანები თანადგომისთვის“, აზერბაიჯანის სახელმწიფო კომისიისა და ქალთა და ბავშვთა პრობლემების კვლევითი ცენტრის ინიციატივით განხორციელდა, მიზნად ისახავს აზერბაიჯანისა და საქართველოს ურთიერთთანამშრომლობას ქველმოქმედების მხრივ და იძულებით გადაადგილებული ბავშვების კულტურის სფეროში განათლების ხელშეწყობას.

პროექტი „ჩემი სამშობლო“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა.



საგანმანათლებლო კერა

# ხიზაბავრის სკოლა – განათლების უძველესი კერა ჯავახეთში

დასასრული
დასაწყისი იხ. №32

ხიზაბავრის ახლად დაარსებულ სკოლაში მასწავლებლად დაუნიშნავთ გიორგი წითლანაძე. გაზეთ „დროების" (გაზეთი „დროება", №185, 1881) ერთ-ერთი კორესპონდენციიდან ვგებულობთ, რომ იგი წარმატებულად ართმევდა თავს მისდამი მინდობილ საქმეს. 1881 წლის მდგომარეობით ხიზაბავრის სკოლაში ყოფილა 60 მოსწავლე: 14 ქალი და დანარჩენი – ვაჟი.

„ხ.კ-ი"-ის ფსევდონიმით, „დროების" კორესპონდენტი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ხიზაბავრის სკოლისა და მასწავლებლის შესახებ: „ქალებს თავის ოთახში ასწავლიდა მასწავლებლის მეუღლე. მაგრამ იმ ჩვენმა დალოცვილმა მასწავლებელმა ისე შეაჩვია და-ძმურად ერთმანეთს ბიჭები და გოგოები, რომ ახლა ვგონებ ერთ ოთახში უნდა აკითხონ. წრეულს კი ძალიან ბევრი ეყოლება ბიჭებიც და გოგოებიც – იქნია სკოლაში არც კი დაეტევიან. წინად არც კი გვინდოდა რომ გაგვეხსნა სკოლა. მაგრამ ისე შეგვყარა სკოლაც და თავისი თავიც ბატონმა მასწავლებელმა, რომ გოგოებიც მივაბარეთ. ჩვენი მასწავლებელი ეხლაც, ამ ზაფხულშიც ასწავლის ბავშვებს უფულოდ. გვეუბნება: „ოღონდ თქვენ ატარეთ ბავშვები და თქვენი არა მინდა რაო". ერთის სიტყვით ძალიან მადლიერნი ვართ ჩვენ ბატონ წითლანაძის" (გაზეთი „დროება", №185, 1881).

როგორც დავინახეთ, ეს იყო შერეული სკოლა, რამდენადაც ერთმანეთის გვერდით სწავლობდნენ გოგონები და ვაჟები. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც „რუსეთის უნივერსიტეტებშიც კი ქალებს არ იღებდნენ და უფლებრივად არ იყვნენ გათანაბრებულნი ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები" (ვ. გაგუა, სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში, თბ., 1974.)

უნდა აღინიშნოს, რომ ხიზაბავრაში სკოლის დაფუძნებას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა იმის გამო, რომ იმ პერიოდში ეს სოფელი ვარევანის (ახალქალაქის მაზრა) სამამასახლისოში შედიოდა. ივანე გვარამაძის ცნობით „სასწავლებლის თაობაზე არეულობა მოუხდენიათ სომხებს" – ხიზაბავრის ნაცვლად, სოფელ ალასტანში მოუთხოვიათ სკოლის გახსნა (გაზეთი „დროება", №251, გვ. 2-3, 1880). აღნიშნული წინააღმდეგობის მიუხედავად, სოფელ ხიზაბავრაში ერთკლასიანი სკოლა გაიხსნა. ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთი „დროება" წერდა: „ჩვენ გვატყობინებენ, რომ ახალციხის კარგა მოშორებით სოფელ ხიზაბავრაში ივანე გვარამაძეს გაუმართავს სკოლა, ამ სოფელ ხიზაბავრაში სულ ქართველი კათოლიკეები სახლობენ. სკოლის მასწავლებლად ამოურჩევიათ გორის სამასწავლებლო სემინარიაში სწავლა შესრულებული ყმაწვილი" (გაზეთი „დროება", 1881).

ხიზაბავრის სკოლა წარმოადგენდა ერთკლასიან სასწავლებელს, სადაც ასწავლიდნენ დედა-ენას, ანგარიშს, რუსულ ენას, საღმრთო სჯულს. რუსული იმდენად კარგად ისწავლებოდა, რომ ოთხკლასდამთავრებულმა კარგად იცოდა სასაუბრო რუსული ენა. მეცადინეობა სეზონურად – ზამთრის პერიოდში მიმდინარეობდა. სკოლა, თავდაპირველად, მოთავსებული ყოფილა დაქირავებულ მიწურ ოდაში, იოსებ ბალიაშვილის ბინაზე, ხოლო 1890 წელს, მოსახლეობაში შეგროვებული თანხით, სოფლის მცხოვრებ სტეფანე დათაშვილისაგან შესყიდულ იქნა ადგილი სასკოლო შენობისათვის, სადაც 1893 წელს აუშენებიათ ოთხოთახიანი შენობა, ხოლო მღვდელ მიხეილ ვარძიელს, 1904 წელს, სკოლის შენობის მახლობლად, აუგია ახალი შენობა ოთხი ოთახის ოდენობით (ველიჯანაშვილი მ. „ხიზაბავრის მეგზური", გვ. 36, 1974). იმავე წელს სოფლის მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, ხიზაბავრის სკოლა გადაკეთდა ორკლასიანად, ორივე სქესისათვის – ხუთი განყოფილებით. მას დაემატა ქალთა საპროფესიონალო (სახელსაქმო) განყოფილებაც. სამი მასწავლებლით და ახალი შენობით. მშენებლობისათვის სტეფანე ზუბალაშვილს 1000 მანეთი შეუწირავს (გაზეთი „ივერია", №179, გვ.2, 1904), ხოლო კათოლიკე მღვდელ – დომინიკე მულაშაშვილს – 200 მანეთი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველი საზოგადოება ყურადღებას უთმობდა ქართველ კათოლიკეთა განათლების საკითხს – ითვალისწინებდა რა მათ მდგომარეობას, ე.ი. ქართული ტიპიკონის უქონლობის გამო მათი გასომხების საშიშროებას. აღნიშნულს ასაბუთებს ზაქარია ჭიჭინაძის წერილი: „ეს საზოგადოება მოვალეა ყოველს საქართველოს სახალხო შკოლას მიეცეს შემწეობა, მხოლოდ იქ, სადაც ქართველები არიან, ანუ ქართველი კათოლიკეები" ( ს.ჯ. ი.მ.ხ.ფ., №2027, ზ. ჭიჭინაძის წერილი ივანე გვარამაძისადმი).

საყურადღებოა ისიც, რომ ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, ივანე გვარამაძეს იმთავითვე განუზრახავს ქალთა სკოლის გახსნა: „1883 წელს დიდ სიხარულს მწერს, რომ იქნებ ხიზაბავრაში ქალების სკოლაც გაგვეხსნას, რადგანაც ჩვენი სკოლის მასწავლებელი ცოლს ირთავს და გვპირდება, რომ ჩემი მეუღლეც ქალებს მიიღებს სკოლაში და ასწავლისო" (ჭიჭინაძე ზ., ვინმე მესხი, გვ. 17, 1904). მრავალი ხელშემშლელი მიზეზის გამო ივანე გვარამაძემ ეს განზრახვა ვერ განახორციელა.

ილია ალხაზიშვილის ცნობით, 1897 წლისათვის ხიზაბავრის სკოლაში 60 მოსწავლე სწავლობდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნული დროისათვის ხიზაბავრის სკოლა საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში ქართული სკოლის გახსნა მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა და ამასთანავე, დაკავშირებული იყო უამრავ სიძნელესთან. „არც ერთი ქართული სკოლა, რაც არ უნდა პაწაწკინტელა იყვეს, არ შეიძლება გაიხსნას, თუ მას არ წავუმძღვარეთ წინ გრძელი ფორმალური მიწერ-მოწერა მთავრობასთან და არ მიილო უკანასკნელის ნებართვა, რომელსაც იშვიათად ეღირსებით. არც ერთ სკოლაში სწავლა არ შეიძლება მოიმართოს, თუ არა ადმინისტრაციისაგან დამტკიცებული პროგრამით. რუსული ენა სავალდებულო საგნად ითვლება და უსათუოდ პირველი წლიდანვე უნდა დაიწყონ მისი შესწავლა, თუ არა და სკოლას უსათუოდ ანდერძის აგება და დამარხვა მოელის" ( გოგებაშვილი ი., რჩ. თხზ. (ხუთ ტომად), ტ. I, გვ. 169, 261, 371, თბ., 1989) – წერდა იაკობ გოგებაშვილი.

იაკობ გოგებაშვილის ეს სიტყვები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რაოდენ დიდი შრომა გასწია ივანე გვარამაძემ ხიზაბავრის სკოლის დაარსებისათვის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლის დაარსებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმაშიც, რომ ხიზაბავრამ არ გაიზიარა სამცხე-ჯავახეთის ქართული კათოლიკური სოფლების: ტურცხის, ბავრის, კარტიკამის, ხულგუმოს და სხვათა ბედი, ე.ი. გადაგვარება-გასომხება, რისი საშიშროებაც რეალურად არსებობდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ზურაბ ქუქჩიშვილი სამართლიანად მიუთითებს, რომ სოფელ ხიზაბავრაში – ერთ-ერთ ქართულ კათოლიკურ სოფელში – სკოლის გახსნით ივანე გვარამაძემ დიდი როლი შეასრულა მშობლიური ენის დაცვისა და ქართველ კათოლიკეთა გასომხების თავიდან აცილების საქმეში.

XIX საუკუნის დასასრულს, რუსიფიკატურული პოლიტიკის პირობებში, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სახალხო სკოლის გახსნას ქართულ კათოლიკურ სოფლებში. ამ სკოლის დაარსებამ ხელი შეუწყო ხიზაბავრელთა ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებას.

XX საუკუნის დასწყისში ხიზაბავრის ერთკლასიანი სკოლა ორკლასიანად გადაკეთდა ორივე სქესისათვის. ამასთანავე, დაემატა ქალთა საპროფესიონალო (სახელსაქმო) განყოფილებაც, რისთვისაც მთავრობას ხაზინიდან დაუნიშნავს 640 მანეთი, ზედამხედველი მასწავლებლის წლიურ ჯამაგირად – 400 მანეთი, ხელსაქმის თითოეული მასწავლებლისათვის – 120 მანეთი. ისინი თითოეული მოსწავლისაგან, ასევე, ყოველწლიურად მიიღებდნენ ნახევარ კოდ ხორბალს და თითო საპალნე შეშას. კონსტანტინე გვარამაძე მიუთითებდა, რომ სკოლას დიდად შეუწყო ხელი სტეფანე ზუბალაშვილისა და დომინიკე მულაშაშვილის ქველმოქმედებამ. კერძოდ, მათი შემწეობით იქნა აშენებული სკოლის ერთი ქვიტკირის შენობა. „ამგვარად, წინანდელი ერთი მასწავლებლის ნაცვლად ხიზაბავრელებს ეხლა ხუთი-ექვსი მასწავლებელი ჰყავთო", – წერდა იგი (გაზეთი „ცნობის ფურცელი", №2703, 1904, ხიზაბავრა (ჯავახეთი).

ხიზაბავრის სკოლაში, 1882 წლიდან, მასწავლებლად მუშაობდა თვით ივანე გვარამაძე. ამას ასაბუთებს მის არქივში დაცული სასოფლო სკოლის მმართველის წითლანაძის განკარგულება, ივანე გვარამაძის თხოვნის საფუძველზე, ხიზაბავრის სკოლაში მასწავლებლად დანიშვნის შესახებ.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, ხიზაბავრის სკოლაში მასწავლებლად მუშაობდნენ: ცნობილი მესხი განმანათლებელი, სახალხო მასწავლებელი კონსტანტინე გვარამაძე (იგი იყო დასახელებული სკოლის აღზრდილი, 1907 წელს, პირადი თხოვნის საფუძველზე დაინიშნა მეორე მასწავლებლის თანამდებობაზე), მიხეილ ვარძელაშვილი, გ. წითლანაძე, თომა პაპაშვილი, თერეზა და კონსტანტინე შეშაბერიძეები, ივანე ბარიკალაშვილი, გიორგი გეგიძე, ლაზარე ნათენაძე, სანაკოევი (რომელიც 1905 წელს გააძევეს სოფლიდან, როგორც ცარიზმის თავგამოდებული დამცველი), მ. რაზმაძე, პ. მესხი, ალექსანდრე ხუციშვილი, მეტრეველი, ვინმე ბერიძე და ა.შ.

1921 წელს, სოფელში გაიხსნა ჯერ დაწყებითი სკოლა, შემდეგ კი, 1925 წელს – შვიდწლიანი, რომელსაც 1928 წელს კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლა ეწოდა. 1935 წელს გადაკეთდა საშუალო სკოლად. პირველი გამოშვება 1938 წელს შედგა, იყო 31 კურსდამთავრებული. ამ დროს სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტი შეადგენდა 390-435 მოსწავლეს.

რევოლუციის შემდგომ პერიოდში სკოლის პროგრამაში შეტანილი იყო წარმოების საფუძვლების ცოდნა. ამის უზრუნველსაყოფად სკოლას გადაცემული ჰქონდა სოფელ ხანდოს (ახალქალაქის რაიონი) ბაღი – 5კვ.კმ. ფართობით, რომელსაც მოსწავლეები ამუშავებდნენ. შემოსავლის 80% ხმარდებოდა ხელმოკლე მოსწავლეებს, ხოლო 20% – სკოლას. 1935 წლამდე ფლობდა სკოლა დასახელებულ ბაღს, იმავე წელს გადაეცა გომის ბაღი. იმისათვის, რომ შორეული სოფლებიდან მოსულ მოსწავლეებს სწავლის შესაძლებლობა ჰქონოდა, 1930-1941 წლებში, მოქმედებდა ე.წ. ინტერნატიც. იქ ჩარიცხულნი იყვნენ ხიზაბავრიდან ხელმოკლე ოჯახის შვილებიც. ინტერნატს ემსახურებოდა 10 მუშაკი. ხიზაბავრის სკოლაში სწავლობდნენ ახალგაზრდები მეზობელი სოფლებიდან: საროდან, თოკიდან, ვარგავიდან, ვარევანიდან, ტოლოშიდან, ბარალეთიდან, ბალანთიდან, აგარიდან, კოთელიიდან, გოკიოდან, გოგაშენიდან, ზედა თმოგვიდან, ჩუნჩხიდან, ძველ-ჭობარეთიდან, არლიდან და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ სკოლა სამცხე-ჯავახეთის ქართული სოფლების ქართველ მოსახლეობას ემსახურებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ხიზაბავრაში სკოლის დაარსების პერიოდში სამცხე-ჯავახეთის ბევრ ქართულ სოფელში სკოლა არ არსებობდა. აქედან გამომდინარე, სწავლის მსურველები სასწავლებლად ხიზაბავრაში მოდიოდნენ. მათ შორის, საბჭოთა პერიოდამდე, ძირითადად, იყვნენ კათოლიკური სოფლებიდან: ვარგავიდან, არლიდან, ასევე, ახალციხიდანაც. აღნიშნულთან დაკავშირებით, რეზო ანდღულაძე წერს: „იმის გამო, რომ სოფელ არალში XIX საუკუნის მეორე ნახევრის მდგომარეობით სკოლა აღარ იყო, სწავლის მსურველებს უნდა ესწავლათ უდის, ახალციხის ან ხიზაბავრის სკოლებში. ბავშვებს უდეში ყოველდღიურად სიარული უჭირდათ, ხოლო ახალციხეში მშობლებს ძვირი უჯდებოდათ მათი შენახვა, ამიტომ, ხიზაბავრას აგზავნიდნენ სასწავლებლად, ხიზაბავრელებთან ნათესაური ურთიერთობების წყალობით. იყო შემთხვევები, რომ ბავშვები ვერ სწავლობდნენ. ასეთი ბავშვები უკან ბრუნდებოდნენ სოფელში. ასეთი ლექსიც გამიგონია:


ივანე გვარამაძე


მიხეილ ვარძელაშვილი

„ორთითი და ფიწალიო,
მე აქ ვერას ვისწავლიო,
უჩიტელო დამითხოვე, შინ წავიდე
ოროველას მაინც ვისწავლიო."

კომუნისტების მოსვლის შემდეგაც უსწავლიათ არლელებს ხიზაბავრაში, მერე აქედან ტოლოშის ტექნიკუმშიც გაუგრძელებიათ სწავლა. 1912 წელს, როდესაც სოფელ არალში სახელმწიფოს მიერ გაიხსნა პირველი დაწყებითი სკოლა, გამგე მასწავლებლად დაუნიშნავთ ხიზაბავრელი ალექსანდრე პავლეს ძე ხითარიშვილი. მას პედაგოგიურ საქმიანობაში ეხმარებოდა თავისი და" (საველე დღიური, 2010, რეზო ანდღულაძის მოგონებები).

1959 წლიდან სკოლა გადაყვანილ იქნა საწარმოო სწავლებაზე, ბაზად იყენებდნენ სოფლის კოლმეურნეობას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ პერიოდში ხიზაბავრის სკოლაში მუშაობდნენ: ვასილ ქურიძე, გიორგი დევდარიანი, ივლიანე კვაჭაძე, ბართლომე თოფურია, ვალიკო ნაცვლიშვილი, მიხეილ ველჯანაშვილი, ალექსანდრე ჩავლეიშვილი, ვანო მელაძე და სხვანი. ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იყვნენ ჩამოსულნი. ომის შემდგომ პერიოდში ხიზაბავრის სკოლა, ძირითადად, დაკომპლექტდა ადგილობრივი კადრით. აღნიშნული პერიოდიდან მოღვაწეობდნენ: პეტრე პაპაშვილი, ალექსანდრე ხუციშვილი, ალექსანდრე ველჯანაშვილი, იაკობ ბალიაშვილი, იაკობ ყრუაშვილი, სიმონ ყრუაშვილი, კონსტანტინე და ლუბა თედორაძეები, ანა ხაზალაშვილი, გიორგი და შოთა დათაშვილები, შურა პლაჭიაშვილი, ანა და თინა მექოშვილები. ამჟამინდელი მდგომარეობით, მათი უმრავლესობა გარდაცვლილია და სკოლას მათი აღზრდილი მასწავლებლები უძღვებიან.

აღსანიშნავია ისიც, რომ სოფელ ხიზაბავრაში, 1937-1940 წლებში, არსებობდა სახელსაქმო სკოლა, სადაც ახალგაზრდა ქალებს ასწავლიდნენ ჭრა-კერვას. სწავლა იყო უფასო და 2 წლის მანძილზე გრძელდებოდა. მეცადინეობა მიმდინარეობდა დილის საათებში და ორ-სამ საათს გრძელდებოდა. ძირითადი მასწავლებელი იყო ანა პოსოშვილი. სკოლას ჰქონდა თავისი ინვენტარი, ტერიტორიულად მდებარეობდა სოფლის ცენტრში (სასურსათო მაღაზიის გვერდით შენობაში). ამავე შენობაში მიმდინარეობდა წერა-კითხვის უცოდინართა მეცადინეობაც. კერძოდ, იქ ზრდასრულ მოსახლეობას ასწავლიდნენ წერა-კითხვასა და არითმეტიკას. პირველი მასწავლებლები იყვნენ სანდრო ხუციშვილი და სიმონ ყრუაშვილი. ამ სკოლას „წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სკოლას" უწოდებდნენ.

1967 წლის 1 მარტს დაიწყო სკოლის ახალი შენობის მშენებლობა 320 მოსწავლისათვის. 1970 წელს სოფლის მოზარდი თაობის სამსახურში ორსართულიანი სკოლის შენობა ჩადგა.

ხიზაბავრის სკოლამ თავისი არსებობის მანძილზე მრავალი ღირსეული ადამიანი აღზარდა. მათ შორის მოიაზრებიან ის ადამიანები, რომელთაც სხვადასხვა დროსა და სივრცეში მოუხდათ მოღვაწეობა, ცხოვრების სახვადასხვა სფეროში მოღვაწეობისას გამოამჟღავნეს დიდი გონიერება და შრომისმოყვარეობა, რითაც წარმოაჩინეს საკუთარი თავიც და მშობლიური სკოლაც. ასეთ ადამიანთა რიცხვი ძალზედ დიდია... უნდა აღინიშნოს, რომ ხიზაბავრის სკოლის მრავალი კურსდამთავრებული ეწევა სამეცნიერო მოღვაწეობას მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

ხიზაბავრის სკოლის ისტორიაში მრავალი ღირსსახსოვარი დღე არის. სკოლა ბევრჯერ ყოფილა უცხოელ და გამოჩენილ ქართველ მამულიშვილთა მასპინძელი. ჯერ კიდევ 1903 წელს სოფელმაც და სკოლამაც უმასპინძლა საქართველოში სამოგზაუროდ ჩამობრძანებულ რომის კათოლიკეთა ტირასპოლის ეპარქიის ეპისკოპოსს ედუარდ ბარონ დე როპპს. 1991 წელს აღინიშნა სკოლის 110 და მისი დამფუძნებლის – ივანე გვარამაძის დაბადებიდან 160 წლისთავი (ამ თარიღებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე მიღებულ იქნა სამართლიანი გადაწყვეტილება – ასპინძის რაიონის პრეფექტისა და ხიზაბავრის სკოლის აღზრდილის – ვახტანგ დათაშვილის წინადადებით, ხიზაბავრის სკოლისათვის ივანე გვარამაძის სახელის მინიჭების შესახებ. სამწუხაროდ, ეს გადაწყვეტილება დღემდე არ განხორციელებულა).

ამრიგად, ხიზაბავრის სკოლის სახით ასპინძის რაიონში ფუნქციონირებს ერთ-ერთი უძველესი სკოლა როგორც ამ მხარეში, ისე საქართველოში. მას ასოცდაათი წლის ისტორია აქვს.

***ნატო ყრუაშვილი***
*ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პედაგოგიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის მეცნიერ მუშაკი*

## ინფორმაცია

* * *



წელიწადის ყველა დრო მშვენიერია საქართველოში, მაგრამ შემოდგომა განსაკუთრებულია. ყველას უხარია მისი მოსვლა – დიდსა თუ პატარას. სწორედ ამის დამამტკიცებელი იყო 25 ოქტომბერს ახალციხის №5 საჯარო სკოლაში გამართული პირველკლასელთა კონკურსი თემაზე – „ბარაქიანი შემოდგომა". სკოლის კათედრის გამგის, **რიტა კირკიტაძის** ინიციატივით, თითოეულმა კლასმა დიდი რუდუნებითა და სიყვარულით წარმოადგინა სოფლის ნობათი (კლასის ხელმძღვანელები: **მზია ნოზაძე, ხათუნა შეშაბერიძე, ოფელია აღდგომელაძე, იზა მარსაგიშვილი, ნათია ცისკარაძე**). რას არ შეხვდებოდით აქ: ღვინით სავსე ჭურს ორშიმოთი და ფიალებით, ადუღებულ თათარასა და ხარიხაზე ჩამოკიდებულ ჩურჩხელებს. ოქროსფერი ყურძნის მტევნები მნახველს იზიდავდა, გვერდწითელა ვაშლი და გულაბი მსხალი ერთმანეთს ეჯიბრებოდა სილამაზეში, თავმომწონედ გამოიყურებოდა გოგრა და საზამთრო, ულვაშები დაეწკიპათ სიმინდის ტაროებს.



სასიამოვნო მუსიკისა და შემოდგომის სლაიდების ფონზე, პატარებმა ლექსები წაიკითხეს. კონკურსი ჩატარდა სკოლის დირექტორის, ქალბატონი **ჟენია მერაბიშვილის** თანადგომით. ჩვენი სკოლის ყველა პედაგოგი მუდმივად გრძნობს მის ყურადღებასა და გულისხმიერებას. ქალბატონმა ჟენიამ პირველი კლასები საპატიო სიგელებით დააჯილდოვა.

***ხათუნა შეშაბერიძე***

*I[2] კლასის ხელმძღვანელი*

* * *



ახალციხის №5 საჯარო სკოლა დიდი ქართველი პოეტის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის სახელს ატარებს. სკოლა მის დაბადების დღეს, 27 ოქტომბერს ხელდამშვენებული შეხვდა.

სკოლის დირექტორის, ქალბატონ **ჟენია მერაბიშვილის** ინიციატივითა და ხარჯებით, სკოლის ფოიეში დაიდგა ილია ჭავჭავაძის ბიუსტი. ეს მოვლენა აღინიშნა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციით. ღონისძიება მოამზადეს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა: **მარინე სულაქველიძემ, ქეთევან სანიკიძემ, ციალა ზურაბაშვილმა**, მუსიკის მასწავლებელმა **მარინე ყურმაშვილმა**, ცეკვის მასწავლებელმა **სამსონ მენაბდიშვილმა**.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, ქალაქის სკოლის დირექტორები, მშობლები და მოსწავლეები.

დამსწრე საზოგადოებამ მაღალ დონეზე შეაფასა ღონისძიება.



***მარინე სულაქველიძე***

*ილია ჭავჭავაძის სახელობის ახალციხის №5 საჯარო სკოლის ქართული ენის პედაგოგი*

* * *



ხონის №4 საჯარო სკოლას (დირექტორი – **მაია ჯანელიძე**) წელს, უკვე მეორედ, პარტნიორობას უწევს საქართველოს მშვიდობის კორპუსი. აღსანიშნავია, რომ ამ ორგანიზაციის ეგიდით ამერიკელი მოხალისე მასწავლებლები, უკვე თერთმეტი წელია, საქართველოს რეგიონებში წარმატებით ახორციელებენ განათლების პროექტს. ამჟამად ხონში მუშაობენ ამერიკელი მოხალისე მასწავლებლები– **ადამ კეისბიერი** და მისი მეუღლე **ვივიან მეფისონი**. ადამი მე-4 საჯარო სკოლაში ასწავლის ინგლისურ ენას. იგი კოლორადოს შტატის ქალაქ დენვერიდანაა. თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია. ჯერ კიდევ სწავლის დაწყების წინ, დახვეწილი ქართულით განუცხადა დამსწრე საზოგადოებას, რომ დიდი სურვილი აქვს, ქართველ ბავშვებს ინგლისური ენა ასწავლოს და ამისთვის მზად არის. როგორც თვითონ ამბობს, ძალიან მოსწონს ქართული ტრადიციები და სტუმართმოყვარეობა. შესანიშნავი მეგობარი და პარტნიორია ქართველი პედაგოგებისთვის.

№4 საჯარო სკოლის ინგლისური ენის კათედრის პედაგოგები – **ივლიტა ადანაია, როზა ბენიძე** და **ნანა კოპალიანი** ყოველდღიურად მრავალფეროვანი აქტივობებით გეგმავენ გაკვეთილებს, რათა მაქსიმალურ შედეგს მიაღწიონ.

ჩვენი სკოლის სახელით, გვინდა მადლობა გადავუხადოთ საქართველოს მშვიდობის კორპუსს, მოხალისე მასწავლებელ ადამ კეისბიერს ასეთი ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის.



***სოფიო მსხვილიძე***

*ხონის №4 საჯარო სკოლა*

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი პარიზის საკვირაო სკოლის პედაგოგებს პირდაპირი ჩართვის რეჟიმში ესაუბრა. ტელეხიდი მასწავლებლის სახლიდან განხორციელდა. შეხვედრას სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი გია მამულაშვილი და მოწვეული ექსპერტები ესწრებოდნენ.

შეხვედრის მთავარი თემა ახალი სახელმძღვანელოები და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები იყო. მინისტრმა პარიზში მყოფი პედაგოგებისგან მათი საჭიროებების შესახებ მიიღო ინფორმაცია და განაცხადა, რომ სამინისტრო მაქსიმალურად დაეხმარება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული საკვირაო სკოლების განვითარებას. პედაგოგებმა დიმიტრი შაშკინთან იმ მეთოდოლოგიურ გზამკვლევზეც ისაუბრეს, რომელიც სამინისტრომ სპეციალურად საკვირაო სკოლებისთვის გამოსცა. სახელმძღვანელოს საზღვარგარეთ მოღვაწე მასწავლებლები უკვე იყენებენ.

მასწავლებლის სახლიდან ტელეხიდები საკვირაო სკოლებთან მომავალშიც გაგრძელდება.



# ძიუდოს დღე სკოლაში



28 ოქტომბერი ძიუდოს დამაარსებელ ძიგორო კანოს დაბადების დღეა და მთელ მსოფლიოში ძიუდოს საერთაშორისო დღედაა აღიარებული. მას საგანმანათლებლო აქციებით აღნიშნავენ ყველგან, სადაც კი სპორტის ეს სახეობაა განვითარებული. ამ ღონისძიებას დედაქალაქის I ექსპერიმენტული საჯარო სკოლაც შეუერთდა, სადაც ძიუდოისტმა გოგოებმა საჩვენებელი ილეთები შეასრულეს. ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელებთან ერთად, სკოლას ოლიმპიური ჩემპიონი **შოთა ხაბარელი**, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური მედლის მფლობელი **სოსო ლიპარტელიანი**, აღმასრულებელი მდივანი **ანზორ მარტყოფლიშვილი**, აგრეთვე მწვრთნელები, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური პრიზიორები – **გიორგი ვაზაგაშვილი** და **გია თენაძე** ესტუმრნენ.

ეს სკოლა შეირჩა, როგორც სპორტის მხრივ ერთ-ერთი სამაგალითო, სადაც რამდენიმე სახეობაა განვითარებული, უახლოეს მომავალში კი მათ ძიუდოც შეემატება. საჩვენებელ გაკვეთილს ძირითადად სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეები ესწრებოდნენ. მოსწავლეებს თეორიული კურსი თავად ძიგორო კანოს პიროვნების, ძიუდოს წარმოშობა-განვითარების, მისი არსის შესახებ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა **ვლადიმერ ნუცუბიძემ** წაუკითხა. როგორ წარმოიშვა იაპონელებში თავდაცვის მასობრივი, ყველასათვის, უპირველესად კი ღარიბი ფენებისთვის ხელმისაწვდომი ორთაბრძოლის სახეობის ჩამოყალიბების იდეა; როგორ მისცა საამისოდ კანოს ბიძგი თოვლისგან დრეკადობის პრინციპით გათავისუფლებულმა ალუბლის ტოტმა და როგორ ააგო მის მოძრაობაზე ძიუდოს ილეთები კანომ – შედარებით სუსტმა როგორ უნდა დაიცვას თავი უფრო ძლიერისგან, როგორ უნდა გაანეიტრალოს მისი ფიზიკური უპირატესობა და აჯობოს მოხერხებით. ამ თემებზე ნუცუბიძემ იმდენად ამომწურავად და საინტერესოდ ისაუბრა, ბავშვები კი არა, უფროსებიც სიამოვნებით უსმენდნენ. ნუცუბიძემ პატარებს ისიც განუმარტა, როგორ ითვალისწინებს ძიუდოს პრინციპი ტრავმების თავიდან აცილებას იმის მიუხედავად, რომ ბევრი ილეთი ვარდნის სახიფათო ამპლიტუდას შეიცავს, მერე კი მოზარდებს ძიუდოს სამოსი – კიმონო გააცნო თავისი შემადგენელი ნაწილებით. თუმცა მოსწავლეთა ყველაზე დიდი ინტერესი მაინც პრაქტიკულად შესრულებულმა ვარჯიშებმა გამოიწვია – თითოეულ გდებას მათი აღტაცებული შეძახილები მოსდევდა. შეხვედრის ბოლოს ბავშვები ძიუდოს სექციებში სავარჯიშოდაც მიიწვიეს და პროფესორ **გურამ რატიშვილის** მიერ სპორტის ამ სახეობის შესახებ გამოცემული წიგნებიც დაურიგეს საჩუქრად.

# პირველი უცხოური ტურნირი ფარიკაობაში

ამ უქმეებზე თბილისმა პირველად უმასპინძლა ტიტულოვან საერთაშორისო ტურნირს ფარიკაობაში – ახალგაზრდების ევროპის თასის ერთ-ერთ ეტაპს ხმლით ასპარეზობაში. ისტორიულ შეჯიბრებაში მასპინძლებიც კარგად გამოვიდნენ და ბიჭებში მთავარი ჯილდოც მათ დარჩათ – ქუთაისელმა **სანდრო ბაზაძემ** გაიმარჯვა, რომელიც ამჟამად თბილისის 35-ე საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელია, ხოლო მისმა უფროსმა ძმამ – **ბექა ბაზაძემ** ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. აქვე გეტყვით, რომ ძმებს მამა, ნაკრების მთავარი მწვრთნელი **მერაბ ბაზაძე** წვრთნის.



ტურნირის შემადგენლობაც საკმაოდ ძლიერი გამოდგა და სანდრომაც ძნელი გზა გაიარა ჩემპიონობამდე. მან პირველ ტურში ერთი ბრძოლა კი დათმო, მაგრამ 5 მოიგო. მათ შორის, ერთი 23-წლიანებში იტალიის ჩემპიონი და ახალგაზრდებში მსოფლიოს თასის ვიცე-ჩემპიონი **გაბრიელე ფოსკინის**, ვისაც მოგვიანებით ფინალშიც დაუპირისპირდა. ძლიერი მეტოქეები მას არც მეორე ტურში დაჰკლებია, სადაც 5-ვე შეხვედრა მოიგო. იმათგან ისევ იტალიელს გამოვარჩევთ, სანდროზე რამდენიმე წლით უფროს **ფაბრიციო მარინოს**, ვინაც ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს თასის მფლობელია.

ამ ეტაპებზე კარგად იხმალავა ბექამაც, რომელმაც სხვებთან ერთად ფოსკინისაც აჯობა. მის ჯგუფში კიდევ ერთი ძლიერი მეტოქე აღმოჩნდა – უნგრული წარმოშობის გერმანელი **მატიაშ საბო**, რომელიც ახალგაზრდებში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია – ორჯერ გუნდურსა და ერთხელ – პირადში. ბექა მას სამჯერ შეხვდა – პირველ ტურში 5:2 მოუგო, მეორეში – 5:4, მეოთხედფინალში კი – 15:12. მას ნახევარფინალშიც ნაცნობ კონკურენტთან მოუხდა ბრძოლა – იტალიელ ფოსკინთან. რაკი პირველ წრეში აჯობა მას, ქომაგს ამჯერადაც ეიმედებოდა ჩვენებურის წარმატება, მაგრამ უფრო გამოცდილმა იტალიელმა შანსი არ დაუტოვა ჩვენებურს. აქ ბრძოლა მხოლოდ დასაწყისში იყო - 4:4-დან მოყოლებული, ფოსკინი საგრძნობ უპირატესობას დაეუფლა და 15:8 იმარჯვა. სამაგიეროდ, ადგილობრივ ქომაგი სანდრომ არ გააწბილა – ნახევარფინალში საკმაოდ დაძაბულ შეხვედრაში ჭაბუკებში მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი, ახალგაზრდებში კი ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი გუნდურში, უკრაინელი **ევგენი სტაცენკო** დაამარცხა. აქ თავიდან მეტოქე დაწინაურდა, მაგრამ მასპინძელმა მუშკეტერმა თანდათან ხელთ იგდო შეხვედრის სადავეები და ანგარიში ჯერ გაათანაბრა, მეორე ნახევარში კი სოლიდური უპირატესობა მოიპოვა – 15:12 მის სასარგებლოდ. ამდენად, ის ფინალში კვლავაც იტალიელ ფოსკინის დაუპირისპირდა. შეხვედრის პირველი ნახევარი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, თუმცა სანდრომ მაინც შეძლო მცირე უპირატესობის მოპოვება და მისი მოგება, აი, მეორეში კი საბოლოოდ გატეხა მეტოქე და საბოლოო ანგარიშით 15:9 მოუგო.

ძმებმა ბაზაძეებმა ჭაბუკებში მსოფლიოს მესამე პრიზიორ **მიხეილ მარდალეიშვილთან** და **კახაბერ მაღრაძესთან** ერთად გუნდურ პირველობაშიც წარმატებით იასპარეზეს, ფინალში გავიდნენ, მცირე სხვაობით – 41:45 მხოლოდ იქ დამარცხდნენ უკრაინელებთან და ვერცხლის მედალს დასჯერდნენ.

ტურნირს მაღალი შეფასება მისცეს ევროპის ფარიკაობის კონფედერაციის ხელმძღვანელებმა, პრეზიდენტმა **ფრანტიშეკ იანდამ,** რაც სერიოზული წინაპირობაა საიმისოდ, რომ მსგავს შეჯიბრებას გაისადაც ვუმასპინძლოთ და ის ტრადიციული გახდეს.

# ქართველთა წარმატებული დებიუტი რუმინეთში

საქართველოს 18 და 19-წლამდელთა ნაკრებები რუმინეთში ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობენ. მისასალმებელია, რომ ორივე გუნდმა წარმატებული სტარტი აიღო, უფრო გამოსარჩევი კი 18-წლამდელთა გამარჯვებაა – 27:6, რადგან ისინი მთავარ კონკურენტსა და ასპარეზობის ფავორიტ მასპინძელთა ნაკრებს ხვდებოდნენ, უფროსები კი დებიუტანტ შვეიცარიელებს შეხვდნენ და იოლად გადათელეს – 50:0. თუმცა მოსაგებად დიდი ჯაფა არც უმცროსებს დადგომიათ. ერთი ეგ იყო, პირველ ტაიმში ნერვების მოთოკვა ვერ შეძლეს, მღელვარებას ვერაფრით დააღწიეს თავი და საგრძნობი სათამაშო უპირატესობა ანგარიშში ვერ გადასახეს. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს საჯარიმოთი, რასაც ჩვენებმა მალევე ლელოთი უპასუხეს, თუმცა გარდასახვა ვერ გამოიყენეს და მხოლოდ 5:3 დაწინაურდნენ, ამის შემდეგ მათი უპირატესობა დიდი იყო, მაგრამ ანგარიშის გაზრდა ვერ მოახერხეს. სამაგიეროდ, შესვენებაზე გონს მოეგნენ, თამაში დაალაგეს, ნერვებიც მოთოკეს და მეტოქეს კიდევ სამი ლელო დაუდეს. ამისთვის მათ დამატებითი პრემიალური ქულაც მიიღეს, რუმინელებმა კი ერთადერთი საჯარიმოს მეტი ვერაფერი იხეირეს.

19-წლამდელები ევროპის შარშანდელი ჩემპიონები არიან და შვეიცარიელებთან ფავორიტად მიიჩნეოდნენ. ამიტომ მათი ამხელა ანგარიშით გამარჯვება არცაა გასაკვირი. ქართველებს მთავარ კონკურენტ რუმინეთთან ნახევარფინალური შეხვედრის წინ კარგი სპარინგი გამოუვიდათ. ამ ტურნირში მონაწილე გუნდები გაისად გასამართი მსოფლიო ალაფის ორი



# ქუთაისი სასკოლო რაგბიშიც პირველია



„შევარდენის" სტადიონმა საქართველოს სასკოლო რაგბის ფინალურ ეტაპს უმასპინძლა, რომელშიც რეგიონულ შეჯიბრებებში გამარჯვებული ათი გუნდი მონაწილეობდა: თბილისის წმინდა გიორგის სახელობის, ადიგენის, ახალციხის, ჭიათურის, ვანის, ქუთაისის, ბორჯომის, საჩხერის, ასპინძისა და სენაკის სკოლები. შეჯიბრი 15-16 წლის მორაგბეები მონაწილეობდნენ და ის საქართველოში რაგბის ერთ-ერთი ძლიერი კერის გამარჯვებით დასრულდა – ქუთაისის მე-10 საჯარო სკოლის გუნდმა გამარჯვება არავის დაუთმო.

შეგახსენებთ, რომ რაგბის სასკოლო ლიგის ჩამოყალიბება განათლების სისტემის რეფორმირების შედეგია. ცნობილია, რომ 2011 წლიდან ჩვენს სკოლებში ფიზმომზადების გაკვეთილები სპორტის სხვადასხვა სახეობამ შეცვალა. რაგბიზე არჩევანი ძირითადად იმერეთის, სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთისა და დედაქალაქის ხუთმა სკოლამ შეაჩერა. სულ კი, საქართველოს მასშტაბით, რაგბის ჯერჯერობით 34 სკოლა თამაშობს. ლიგის შექმნა და ყოველწლიურად ტურნირის ჩატარება განათლების სამინისტროს ინიციატივაა, რომელსაც რაგბის კავშირი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან ერთად, უწევს კოორდინაციას.

*რუბრიკას უძღვება*
***ირაკლი თავაძე***

## ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა, I-IV ტომი, – 11 ლარი
- ნოდარ დუმბაძე, I-V ტომი, – 13 ლარი
- ალექსანდრე ყაზბეგი, I-II ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი, I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა, I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი, I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია, I, II, III, VI, VII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი, I-V ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე, I-IV ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე, I-II ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი, I-IX ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე, I-V ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი, I-IV ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

## გამომცემლობა ,,დიოგენესა“ და გაზეთ ,,ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი

### ხელმომწერთა საყურადღებოდ!

თუ თქვენ წიგნის მოყვარული ბრძანდებით, შეგიძლიათ ისარგებლოთ „დიოგენეს“ შემოთავაზებით და გააფორმოთ ხელმოწერა.

### გამოიწერეთ წიგნები და მიიღეთ სპეციალურ ფასად



საყმაწვილო ენციკლოპედია „მსოფლიოს რელიგიები“

~~29.90~~

17 ლარი



საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“

~~29.90~~

17 ლარი



საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“

~~29.90~~

10 ლარი

პირველად საქართველოში!
მოსწავლეებისა და
პედაგოგების სამაგიდო წიგნი
თამარ ბეროზაშვილი
„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

~~14.90~~

10 ლარი



## „ახალი განათლების“ წიგნის თარო

### მიმდინარეობს ხელმოწერა

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ
ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
295 80 23; 8790 95 80 23; 577 13 22 83.

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კLBRTGE22, ა/აGE93LB0113314052305000

## შემოგვიერთდით!







მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია ~~45~~ 35 ლარი

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია ~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია ~~40~~ 30 ლარი

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“
ერთი ტომი – 12 ლარი



„რა არის რა“ ერთი ტომი – 11 ლარი



ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 295 80 23, 8790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკი
ბ/კ BAGAGE22,
ს/კ 202058735,
ა/ა GE 86 BG 0000000 123631000 GEL

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

C M Y K